ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 30 აგვისტო, 2019 №205 (8159) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

პოლიციელ თარაშ მუკბანიანის მკვლელობაში მსჯავრდებული რამაზ დევაძე პრეზიდენტმა შეიწყალა

რა მოხდა 2014 წლის 27 დეკემბერს ბათუმის ღამის კლუბში

ქართველი კანონიერი ქურდი კვეჟოვიჩი თურქეთში ცემეს

გვ.5

„თამარ საძაგლიშვილს არ ახსოვს, რომ ბავშვს დანა დაარტყა“



გვ.2

დედა: „12-ის ნახევარზე დავურეკე და ეს ამბავი არ მოუყოლია“

ოსებმა წნელისთან სამხედრო ქვედანაყოფი განათავსეს

ერგნეთის შეხვედრა ჩაიშალა

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა თბილისს ახალი პრეტენზიები წაუყენა

გვ.4

სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთი ჩვენს ნერვებზე თამაშობს“

„ფაქტობრივად, საქმეს ანგრევენ“

გვ.2

დვალსა და აქიმიძეს პროკურატურამ უარი 7 წლის შემდეგ უთხრა

გვ.2

კეზერაშვილის ტელეკომპანია ფორმულა მაუწყებლობას 1 ოქტომბერს დაიწყებს

გვ.3

„თუ პრეზიდენტს ასეთ რეზონანსულ საქმეებზე ივანიშვილისგან კურთხევა არ ექნება, გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლებას არ ესმის, რა არის კონფლიქტი“

გვ.3

„ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ჩუმად არის და ამ დროს შენც ეჭვი გეპარება, იქნებ ჩვენც არა ვართ მართლები?! რატომ არიან ჩუმად, მეც კი დაბნეული ვარ“

გვ.4

დავით ქაცარავა: „ჩორჩანის ტყეში ქართული საგუშაგოს გახსნა სწორი გადაწყვეტილებაა“

სამართალი გვ.5

ავთანდილ წერეთელმა 500.000-ლარიანი გირაოს შეფარდება გაასაჩივრა

ცოლის თვითმკვლელობამდე მიყვანისთვის ლ.დ. დააკავეს

იყალთოში მანქანა ხეს შეეჯახა

დაშავდა 2 მამაკაცი

შსს-მ დააკავა პირი, რომელიც ქობულეთში ცოლ-ქმარს დაეჯახა

ISSN 1987-9385

2 ზელიმხან ხანგოშვილი პანკისის ხეობაში დაკრძალეს

3 მაკო გომურს ხელოვნური თვალი ჩაუსვეს

2 სერგი კაპანაძე: „სენატორების ტრამპისადმი მიმართვა საქართველოსადმი აშშ-ის დიდ მხარდაჭერას აჩვენებს“

5 გლდანის გამგებლის მოადგილე თანამშრომელს სცემს?

ადვოკატი გაბუნია: „თამარ საძაგლიშვილს არ ახსოვს, რომ ბავშვს დანა დაარტყა“

დედა: „12-ის ნახევარზე დავურეკე და ეს ამბავი არ მოუყოლია“

გუშინ, 29 აგვისტოს, პეკინზე 3 წლის ბავშვის დაჭრაში ბრალდებულ თამარ საძაგლიშვილს ბრალი წაუყენეს არასრულწლოვნის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისა და მისი დის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობისთვის.

აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებს ბრალდებულის ადვოკატმა ალექსი გაბუნიამ განუცხადა.

დაკავებულ ქალს ბრალი თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში გააცნეს.

მისი ადვოკატის თქმით, საძაგლიშვილმა სახლიდან წასვლა, პეკინზე ყოფნა გაიხსენა, თუმცა მომხდარი ფაქტი ფსიქიკური პრობლემის გამო არ ახსოვს.

– ბრალი წაუყენეს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის და ასევე, ასეთი დაზიანების მცდელობისთვის. მისი პოზიცია არის ასეთი, რომ მას ეს დანაშაული არ ჩაუდენია, მსგავსი არაფერი ახსოვს. მან გამომძიებელს ჩვენება მისცა და თქვა, რომ იმ დროს პეკინის ქუჩაზე იმყოფებოდა, მაგრამ მსგავსი რამ არ ჩაუდენია.

კადრებში შეიძლება ჩანს, მაგრამ მას ეს ფაქტი არ ახსოვს. ჩემი ვარაუდით, ამის მიზეზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა. ახსოვს, რომ პეკინზე მაღაზიებს ათვალიერებდა, რომ სახლიდან წამოვიდა, ისიც ახსოვს, რომ მაღაზიებში შესვლასაც აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და შემდეგ არაფერი ახსოვს.

დანის ქონას კატეგორიულად უარყოფს, არ მქონიაო, ამბობს. ბრალის დადგენილებით, დაზიანება დანით არის მიყენებული. საბოლოოდ ექსპერტიზა განსაზღვრავს, დაზიანება მძიმე არის თუ არა, – განაცხადა ადვოკატმა გაბუნიამ.

თუკი გამოძიება საძაგლიშვილის ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას არ დანიშნავს, ამას თავად მოითხოვს.

– მოგეხსენებათ, გამოძიება ახლა დაიწყო. ჩვენთვის უცნობია, დაინიშნა თუ არა ექსპერტიზა. თუ გამოძიება არ დანიშნავს, ჩვენ დავნიშნავთ.

მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას მოვითხოვთ, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ დევნა არც უნდა დაწყებულიყო. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შესაბამისი მასალები უნდა მოკვლეულიყო. სისხლის სამართლის კოდექსი ასეთ შემთხვევაში გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მოდუნებულია, შეიძლება ითქვას, რომ არაადეკვატურია, იმიტომ, რომ ლაპარაკიც უჭირს, ვერ საუბრობს, – განაცხადა გაბუნიამ.

ადვოკატის თქმით, მისი კლიენტი ბოლოს მკურნალობის მიზნით კლინიკაში 2017 წელს იყო მოთავსებული.

– მკურნალობდა და ახლაც მკურნალობს, საკმაოდ მძიმე პრეპარატებს იღებს. პატიმარს დღეს პირველად შევხვდი, 10 წუთის განმავლობაში ვესაუბრე, მეტი ინფორმაცია არ მაქვს. მას დიდი ხანია, ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, რამდენიმე ათეული წელია, სამედიცინო დაწესებულებაშიც იწვა, სხვადასხვა დაწესებულებაში. ბოლოს ფსიქიკური პრევენციის ცენტრში 2017 წელს რამდენიმე დღე იწვა და პრეპარატები აქვს დანიშნული, – თქვა გაბუნიამ.

* * *

თამარ საძაგლიშვილის დედა მაესტროსთან აცხადებს, რომ მის შვილს იძულებითი მკურნალობა უნდა დაენიშნოს.

მანანა ჩხიკვაძის თქმით, ბრალდებული წლების განმავლობაში მკურნალობდა და მდგომარეობა პერიოდულად მწვავდებოდა, თუმცა 28 აგვისტოს პეკინზე მომხდარი შემთხვევის მსგავსი არასოდეს დაფიქსირებულა.

დედა ასევე აცხადებს, რომ მის შვილს ბავშვის დაჭრის ეპიზოდი არ ახსოვს. ინციდენტის დროს დაკავებული თბილისში მარტო იყო, დედა კი შეკვეთილში კერძო საოჯახო სასტუმროს ამუშავებდა.

– დავურეკე, ღამის 12-ის ნახევარი იყო. ძალიან ხშირად ვურეკავდი – ყოველ 2 საათში. ჩვეულებრივად მიპასუხა, ყველაფერი მომიყვა – მთელი დღის განმავლობაში რას აკეთებდა, მაგრამ ეს ამბავი არ მოუყოლია, იმიტომ, რომ არ ახსოვდა, რომ ეს გააკეთა. მერე მითხრა, რომ დაძინება უნდოდა და დამემშვიდობა, – თქვა მანანა ჩხიკვაძემ.

მისი აზრით, ბავშვი, სავარაუდოდ, სახლიდან წაღებული დანით არის დაჭრილი. მისივე თქმით, 2017 წელს თამარ საძაგლიშვილი ქავთარაძის ქუჩაზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში მკურნალობდა.

– შარშანწინ დაუნიშნეს პრეპარატები. გვითხრეს, რომ კლინიკაში გაჩერება აუცილებელი არ იყო და სახლში შეეძლო მკურნალობის გაგრძელება. მონიტორინგისთვის კლინიკაში არ დადიოდა, რადგან ფსიქიატრი დადიოდა ჩვენთან სახლში და მის დანიშნულებას ასრულებდა.

ბოლოს ფსიქიატრი კარგა ხნის წინ იყო, ბევრი თვის წინ. მერე უკვე ჩვეულებრივად, ნორმალურად იყო, – უთხრა ბრალდებულის დედამ მაესტროს.

მანანა ჩხიკვაძე ამბობს, რომ მის შვილს მოსამართლე, სავარაუდოდ, იძულებით მკურნალობას განუსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიებად.

– რემისია ჰქონდა თავისი ავადმყოფობის და მერე უცბად აშლილობა და მერე ისევ დაწყნარდა. ვიცი, რომ სამკურნალო არის და ალბათ კლინიკაში იძულებით მკურნალობას დაუნიშნავენ, – თქვა მანანა ჩხიკვაძემ.

პოლიციამ 3 წლის ბავშვის დაჭრაში ბრალდებული 28 აგვისტოს დააკავა. დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მცირეწლოვანს ბასრი საგნით დაზიანებები 27 აგვისტოს, საღამოს მიაყენეს.

ბავშვი საავადმყოფოდან გუშინ, 29 აგვისტოს, გაწერეს.

„ფაქტობრივად, საქმეს ანგრევენ“

დვალსა და აქიმიძეს პროკურატურამ უარი 7 წლის შემდეგ უთხრა

რუსთავი 2-ის დამფუძნებლებმა 2012 წელს დაწყებულ სამართლებრივ დავაზე პროკურატურისგან პასუხი 7 წლის შემდეგ მიიღეს.

უწყების მიერ დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 2019 წლის 22 აგვისტოს რიცხვით არის დათარიღებული, ნათქვამია, რომ აღნიშნულ საქმეზე კონკრეტულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. გამოძიება გრძელდება ძალადობით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

პროკურატურის ამ პასუხს დავით დვალი ასაჯაროებს და ფეისბუქის გვერდზე პოსტს წერს:

„საქმეს ანგრევენ ფაქტიურად. დაზარალებულები კი ხართ, მაგრამ ბრალს არავის წავუყენებთო. 7 წლის თავზე გვწერენ ამას. ეს ის პროკურატურაა, ბოლო დროს რომ ერთ კვირაში კერავს საქმეებს...“

ნიუპოსტი წერს, რომ რუსთავი 2-ის დამფუძნებლებმა და ყოფილმა მფლობელებმა 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რუსთავი 2-თან დაკავშირებით დაიწყეს სამართლებრივი გზით ბრძოლა შელახული უფლებების აღსადგენად.

2012 წლის 30 ნოემბერს დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ საჩივარი შეიტანეს საქართველოს პროკურატურაში.

პარალელურად, დარღვეული უფლებების აღსადგენად სასამართლოს მიმართა ქიბარ ხალვაშმა, რომელმაც რუსთავი 2-ის დამფუძნებლებს შესთავაზა, რომ მისი სასამართლო საქმის გამარჯვების შემთხვევაში იგი წილების 50%-სა და მენეჯმენტს დაუთმობდა დავით დვალსა და ჯარჯი აქიმიძეს.

ქიბარ ხალვაშმა სასამართლო დავა 2015 წელს დაიწყო.

2017 წლის მარტში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშსა და კომპანია პანორამას მიაკუთვნა. რუსთავი 2-მა და მისმა მფლობელებმა სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს. სტრასბურის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი ღონისძიება გამოიყენა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა.

ამ ხნის განმავლობაში ტელეკომპანიის ანგარიშებს ყადაღა ჰქონდა დადებული.

2019 წლის 18 ივლისს სტრასბურის სასამართლომ რუსთავი 2-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არც ერთი მუხლის დარღვევა არ დაადგინა. სტრასბურის სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით თქვა, რომ რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშს ეკუთვნის და საქართველოს სამი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კანონიერია.

ამავე გადაწყვეტილებით სტრასბურის სასამართლომ აღარ დატოვა ძალაში აღსრულების დროებითი შეჩერების მექანიზმი.

ამ მექანიზმის ამოქმედების გამო 2017 წელს არხი ქიბარ ხალვაშმა ვერ გადაიფორმა.

კეზერაშვილის ტელეკომპანია ფორმულა მაუწყებლობას 1 ოქტომბერს დაიწყებს

ტელეკომპანია ფორმულა, რომელსაც, სავარაუდოდ, დავით კეზერაშვილი დააფინანსებს, მაუწყებლობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 1 ოქტომბერს დაიწყებს.

კომუნიკაციების კომისიამ შპს ფორმულას მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაცია მიანიჭა და უწყებრივ რეესტრში კერძო საერთო მაუწყებლად გაატარა.

„კომპანიას მაუწყებლობის ავტორიზაციისთვის კანონით განსაზღვრული მთელი რიგი სავალდებულო ინფორმაცია სრულად არ ჰქონდა წარმოდგენილი. შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიამ ფორმულას განაცხადში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება მოსთხოვა.

დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ კომისიამ კომპანიას მაუწყებლობის ავტორიზაცია მიანიჭა“, – ნათქვამია კომუნიკაციების კომისიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სერგი კაპანაძე: „სენატორების ტრამპისადმი მიმართვა საქართველოსადმი აშშ-ის დიდ მხარდაჭერას აჩვენებს“

ამერიკელი სენატორების მიერ დონალდ ტრამპისთვის მიმართვა, რომ ვლადიმერ პუტინი „დიდ შვიდეულში“ არ უნდა დაიშვას, ნიშნავს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე გვყავს მეგობრები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ამერიკა-რუსეთს შორის ურთიერთობებში იყოს მოაზრებული და არ მოხდეს ამ პრობლემატიკის დავიწყება.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა სერგი კაპანაძემ განაცხადა.

კაპანაძე იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთი „ცივილიზებული სამყაროს ყველაზე ექსკლუზიურ კლუბში, „დიდ შვიდიანში“, არ დაბრუნდება და ამის მიზეზი სწორედ საქართველოსა და უკრაინის რუსეთის მიერ ოკუპაცია იქნება.

– ამერიკელი სენატორების მხრიდან ეს განცხადება და ეს ნაბიჯი არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, როგორი დიდი მხარდაჭერა აქვს საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებში და, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მთავრობის ნაბიჯები, რას აკეთებს და რას არ აკეთებს საერთაშორისო ასპარეზზე, ჩვენ გვყავს მეგობრები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია იყოს მოაზრებული ამერიკა-რუსეთს შორის ურთიერთობებში და არ მოხდეს ამ პრობლემატიკის დავიწყება.

ამიტომ, დიდი იმედი მაქვს, რომ „დიდ შვიდეულში“ არ მოხდება რუსეთის დაბრუნება. ეს საღი აზრიდან გამომდინარე არსებული პოზიციაა, რომელსაც ბევრი ევროპელი ლიდერი იზიარებს, იქნება შენარჩუნებული ოკუპაცია საქართველოში თუ უკრაინაში, იქნება მიზეზი იმისა, რომ რუსეთი არ დაბრუნდეს ცივილიზებული სამყაროს ყველაზე ექსკლუზიურ კლუბში – „დიდ შვიდიანში“, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

ამერიკელმა სენატორებმა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს „დიდ შვიდეულთან“ რუსეთის მიერთების შესაძლებლობაზე ღია წერილით მიმართეს და უთხრეს, რომ ვლადიმერ პუტინი „დიდ შვიდეულში“ არ უნდა დაიშვას, ვიდრე რუსეთის მთავრობა არ გადადგამს ცალსახა ნაბიჯებს იმის დასადასტურებლად, რომ საერთაშორისო არენაზე პასუხისმგებლობის მქონე მოთამაშე იქნება.

სენატორები პრეზიდენტ ტრამპს ახსენებენ, რომ „დიდი რვიანიდან“ გარიცხვის შემდეგ რუსეთის ფედერაცია კვლავ არღვევს საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს და ერთ-ერთ მაგალითად რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების უკანონო ოკუპაცია მოჰყავთ.

ზელიმხან ხანგოშვილი პანკისის ხეობაში დაკრძალეს

გუშინ, 29 აგვისტოს, ბერლინში მოკლული ზელიმხან ხანგოშვილი პანკისის ხეობაში საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს.

ხანგოშვილი საქართველოში 29 აგვისტოს, გამთენიისას ჩამოასვენეს.

ოჯახის წევრების თქმით, ხანგოშვილი რუსული სპეცსამსახურების სამიზნე გახდა, ამის მიზეზი კი რუსეთ-ჩეჩნეთის ომში ხანგოშვილის მონაწილეობა იყო.

მკვლელობასთან რუსეთის სპეციალური სამსახურების კავშირის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ ბიბისიმაც გაავრცელა. რუსული სპეცსამსახურების კვალზე ეჭვებს გამოთქვამენ გერმანიის პოლიტიკურ წრეებშიც.

ზელიმხან ხანგოშვილი ბერლინში 23 აგვისტოს მოკლეს.

ველოსიპედით გამავლელმა ის ცეცხლსასროლი იარაღიდან თავის არეში სასიკვდილოდ იმ დროს დაჭრა, როცა ხანგოშვილი პარასკევის ლოცვაზე მეჩეთში მიდიოდა.

ხანგოშვილის მკვლელობის ბრალდებით რუსეთის მოქალაქე ვადიმ სოკოლოვია დაკავებული.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„თუ პრეზიდენტს ასეთ რეზონანსულ საქმეებზე ივანიშვილისგან კურთხევა არ ექნება, გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს“

დავით ზურაბიშვილი: „დეკანოზის შეწყალების საქმეში პატრიარქის დამოკიდებულებაა გადამწყვეტი“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ისევ არ შეიწყალა ე.წ. ციანიდის საქმეზე მსჯავრდებული დეკანოზი გიორგი მამალაძე, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც საკმაოდ მძიმეა, სამაგიეროდ, შეიწყალა პოლიციელის მკვლელობისთვის მსჯავრდებული რამაზ დევაძე, რასაც საზოგადოებაში კითხვის ნიშნები მოჰყვა.



რას ნიშნავს პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება და რა მოლოდინი აქვს სექტემბრის აქციებისგან? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით ზურაბიშვილი** საუბრობს.

– პრეზიდენტმა ისევ არ შეიწყალა დეკანოზი გიორგი მამალაძე. რას უკავშირებთ იმას, რომ მას ისევ უარი უთხრა შეწყალებაზე, მაშინ როდესაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა?

– ჩვენ პრეზიდენტი ფორმალურად გვყავს. რეალურად სალომე ზურაბიშვილი არანაირი გადაწყვეტილების მიმღები არ არის. ასეთ რეზონანსულ საქმეებს ის უთანხმებს ბიძინა ივანიშვილს. თუ მისგან ექნება ნებართვა ან კურთხევა, მაშინ გააკეთებს, თუ არ ექნება, არ გააკეთებს. ასე ვთქვათ, მას აქვს ძალიან ვიწრო უფლებამოსილება და არეალი, სადაც შეუძლია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილებები.

სადაც აქვს ეს უფლებამოსილება, სადაც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს, იქაც ძალიან არაადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებს. მაგალითად, აგერ პოლიციის მკვლელი შეიწყალა, რაც ძალიან უცნაური ამბავია. როგორც წესი, პოლიციელების მკვლელებს ასე მარტივად არ იწყალებენ.

– რატომ? ეს გადაწყვეტილება, თქვენი აზრით, რა არგუმენტაციით იყო განპირობებული?

– არ ვიცი. ეს შეიძლება იყოს არაპოლიტიკური... რაღაცა ნიადაგის მოთხრაა და ასეთ დონეზე იღებს გადაწყვეტილებებს. ძალიან ისეთი პრეზიდენტი გვყავს ჩვენ... ისეთი, რომელიც ქვეყანას არ შეეფერება და არ ეკადრება. ამიტომ ეს მისი გადაწყვეტილებაა, მაგრამ, რა გადაწყვეტილებასაც თვითონ იღებს, ის კიდევ უარესია, ვიდრე ის, რასაც ბიძინა ივანიშვილს უთანხმებს.

ისეთი საქმე, როგორიც დეკანოზ გიორგი მამალაძისაა, რომელიც საკმაოდ რეზონანსულია, სადაც საპატრიარქოს ამბავია და ციანიდის საქმეა, აქ ვარიანტი არ არის, რომ მან მიიღოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილება. მან ეს ან ბიძინა ივანიშვილს უნდა შეუთანხმოს, ან პატრიარქს, ან ვიღაცას მასზე ზემდგომს. ეს ორი ადამიანი რომ მასზე ზემდგომია, მგონი, ამაში ეჭვი არ გვეპარება.

– დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახი ზუსტად საპატრიარქოს უკავშირებს და მის სურვილს, რომ არ მოხდა შეწყალება. ამაზე როგორია თქვენი შეფასება?

– ბუნებრივია, ასე იქნება. აქ ამას ბევრი ლაპარაკი რად უნდა, ეს ხომ ისედაც ცხადია!

– ანუ, ასე გგონიათ, რომ საპატრიარქო წავიდა შეწყალების წინააღმდეგ?

– ბუნებრივია. საპატრიარქო და პატრიარქი რომ იყვნენ დეკანოზის შეწყალების მომხრე, მაშინ ის დღეს შეწყალებული იქნებოდა, ამაში ეჭვი არ მეპარება. რადგან შეწყალებული არ არის, ეს ნიშნავს, რომ ამის მომხრე არ არიან.

– გვახსოვს რამდენიმე მეუფის განცხადება, რომ შეწყალებას ემხრობიან. ეს ნიშნავს, რომ საპატრიარქოში საერთო აზრზე არ არიან?

– ეს შესაძლებელია, მაგრამ აქ, ხომ ვიცით, რომ თვითონ კათოლიკოს-პატრიარქის დამოკიდებულებაა გადამწყვეტი.

– ანუ პირადად პატრიარქია შეწყალების წინააღმდეგი?

– არ ვიცი, ახლა, როგორც გითხარით, ვარაუდებს ვაკეთებ. მას რომ სურვილი გამოეთქვა შეწყალებაზე, ნამდვილად იქნებოდა შეწყალებული და არავინ იქნებოდა შეწყალების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, არ არიან მისი შეწყალების მომხრეები.

– ინტერვიუს დასაწყისშიც აღვნიშნე, რომ დეკანოზს ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს. რა გამოდის? რეალურად წირავენ?

– არ ვიცი. მე ასეთ რაღაცებს ვერ გეტყვით... მაგრამ, ფაქტია, რომ არ უნდათ შეწყალება. აქ მთავარი არ არის სალომე ზურაბიშვილის აზრი. აქ უმთავრესი პატრიარქის პოზიციაა.

– იმ ვითარებაში, როდესაც პრეზიდენტი ნომინალური ფიგურაა, არა მხოლოდ კონსტიტუციის მიხედვით, არამედ მისი ქმედებების მიხედვითაც ამ შემთხვევაში გამოსავალს რაში ხედავთ, რომ სახელმწიფო სახელმწიფოს ჰგავდეს?

– ამ ხელისუფლების პირობებში აქ არავითარი გამოსავალი არ არსებობს. მისი ტრანსფორმაცია, ჩემი აზრით, უკვე შეუძლებელია, იმიტომ, რომ მოვედით აქამდე. 2012 წლის „ქართული ოცნება“ ან თუნდაც 2013-14-ის დღევანდელ სიტუაციას რომ შევადაროთ სახელმწიფო მართვის თვალსაზრისით, გაცილებით უკან ვართ ახლა, ვიდრე მაშინ. ვსაუბრობ თუნდაც იმავე ხელისუფლების პირობებში. არავითარი გაუმჯობესების იმედი არ გვაქვს.

გამოსავალია საპარლამენტო არჩევნები, რომელიც 1 წელიწადში იქნება. ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს და ამის შემდეგ, შესაძლოა, რაღაცა შანსი გაჩნდეს. რა თქმა უნდა, გარანტია არ არის, მაგრამ რაღაცა შანსი გაჩნდება. ამ ხელისუფლების პირობებში არავითარი შანსი არ არის, რომ რამე უკეთესობისკენ შეიცვალოს. უარესობისკენ შეიძლება, მაგრამ უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება.

– საზოგადოებაში მოლოდინია სექტემბრის აქციების მიმართ. ხალხი ელოდება პოლიტიკურ გააქტიურებას. უკვე 3 სექტემბერს იგეგმება დეპუტატებისთვის სირცხვილის კორიდორის მოწყობა. თქვენ რას ელოდებით?

– საერთოდ, შემოდგომა პოლიტიკური გააქტიურების დროა. რა თქმა უნდა, ველოდები საზოგადოების გააქტიურებას. 20 სექტემბერს დაგეგმილია დიდი აქცია გახარიას გადადგომის მოთხოვნით და, რა თქმა უნდა, საპროტესტო მუხტი გაგრძელდება.

– გახარიას გადადგომის მოთხოვნით აქციები კი იგეგმება, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, მას, პირიქით, აწინაურებენ და პრემიერ-მინისტრად გადაჰყავთ.

– არ ვიცი. ჯერ კიდევ იმედი მაქვს, რომ ეს არის „ქართული ოცნებისგან“ გამოშვებული დეზინფორმაცია თვითონ ბიძინა ივანიშვილის მხრიდან. იმედი მაქვს, ასეთ უგუნურ და ანტისახელმწიფოებრივ საქციელს მაინც არ ჩაიდენენ, იმიტომ, რომ ეს უკვე სრული კატასტროფა იქნება „ქართული ოცნებისთვის“. მათი კატასტროფა არ მადარდებს, მაგრამ თვითონ ქვეყნისთვისაც ძალიან ცუდი იქნება.

– ივანიშვილს რაში უნდა აწყობდეს ასეთი ჭორის გამოშვება?

– საერთოდ, ასეთი ტიპის მმართველებს სჩვევიათ, როდესაც ასე მოქმედებენ. რამდენიმე ჭორს უშვებენ ხოლმე საზოგადოების განწყობის გასაზომად. ეს მათთვის დამახასიათებელია და ეს მარტო ივანიშვილს არ ახასიათებს. მაგალითად, ედუარდ შევარდნაძე ერთი 10 კაცს ეუბნებოდა, ჩემ შემდეგ შენ იქნები პრეზიდენტიო და ყველას სჯეროდა, რომ მართლა ის იქნებოდა. სინამდვილეში არ აპირებდა. ასეთი რაღაცები სჩვევიათ ხოლმე, ინტრიგებს აგდებენ და სინამდვილეში ისეთ გადაწყვეტილებას იღებენ, რომელსაც არ ელიან მისგან.

– ელოდებით თუ არა აქციებზე ისეთ მძლავრ პროტესტს, როგორც ვნახეთ ივნისის მოვლენების დროს და პირველი ნიშანი იქნება თუ არა სირცხვილის კორიდორის მოწყობა?

– სირცხვილის კორიდორი მრავალჯერ მოწყობილა წინა ხელისუფლებისთვისაც, შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგაც. ეს არაფერი განსაკუთრებული არ არის, მაგრამ 20 სექტემბერს, რა თქმა უნდა, დიდ აქციას ველოდები.

პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლებას არ ესმის, რა არის კონფლიქტი“

„ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ჩუმად არის და ამ დროს შენც ეჭვი გეპარება, იქნებ ჩვენც არა ვართ მართლები?! რატომ არიან ჩუმად, მეც კი დაბნეული ვარ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას აგრძელებს. ისმის მუქარა და ულტიმატუმი. ამ დროს რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება, რა პოლიტიკა აქვს ამ ყველაფერთან მიმართებით?

– არც ერთი მხარე ბოლომდე სიმართლეს არ ამბობს, ამიტომ, სად ხდება გავლება და როგორ, ეს რთული სათქმელია. ეს პროცესი არ არის დღევანდელი დღის მოვლენა. სამწუხაროდ, ეს პროცესები ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო, როცა ზვიადი გამსახურდიამ საკმაოდ წინდაუხედავად გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მაშინ მან ეს გაუქმებული ოლქის ტერიტორიები მიუერთა დანარჩენ საქართველოს, ხაშურის, გორისა და ქარელის რაიონებს. იქიდან მოყოლებული, ეს პრობლემები იყო. ამასობაში საბჭოთა კავშირი დაიშალა, განუკითხაობა იყო, ომი იყო... შემდეგ საკაშვილმა ეს ოლქი რაღაც ფორმალურად აღადგინა. მან შექმნა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ადმინისტრაცია კი აღადგინა, მაგრამ რუკა არ დაურთო ამ ყველაფერს.

– ანუ?

– მან არ თქვა, თუ სად ვრცელდებოდა დიმა სანაკოევის იურისდიქცია. ამასობაში ისევ მოხდა ომი 2008 წელს და უკვე კანონი იქნა მიღებული ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ, რომლებსაც თითქოს პოლიტიკოსებად მოჰქონდათ თავი და ასეთი უგუნურება არსად მინახავს. მიღებულია კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და არ არის დართული რუკა! პირველკურსელმა იურისტმა იცის, რომ შეუძლებელია, ტერიტორიებზე არსებობდეს კანონი და არ იყოს რუკა. რუკა აუცილებლად უნდა იყოს, ანუ

დღემდე არ არის დადგენილი ეს საზღვრები. ამიტომ რუსეთი, თავისი ცინიზმით, თავხედობითა და უტიფრობით ავლებს ხაზს იქ, სადაც თვლის, რომ იქ ვრცელდება მისი საოკუპაციო იურისდიქცია. ჩვენ კი არ ვამბობთ, სად ვრცელდება და სად არა. ამიტომ ეს მოუგვარებლობა, ოდესღაც დაწყებული და გადასული სხვადასხვა სერიაში, ყოველდღიურად გვახსენებს თავს, იმიტომ რომ საქართველოს არა აქვს დადგენილი, ოკუპირებული ტერიტორია რა არის. შესაბამისად, რუსი თავხედურად და უტიფრათ ითვისებს ყველაფერს იმას, რასაც ის თვლის საჭიროდ, რომ მისი იყოს. ეს გაუგებრობა მუდმივად გაგრძელდება, ვიდრე ამ კითხვებს პასუხი არ გაეცემა.

– ამის დადგენის გარეშე პრობლემა ვერ მოგვარდება?

– ვერა. რადგან არ ვადგენთ, მაშინ საჭირო იყო ორმხრივი ურთიერთობები, ლაპარაკი ოსურ მხარესთან. უამრავი სხვადასხვა ფორმატი არსებობდა, იგივე ჟენევაში, იგივე კარასინი-აბაშიძის ფორმატი. სხვადასხვა ფორმა არსებობს, რათა პირად დონეზე მაინც ხდებოდეს ტემპერატურის დაწევა. რაც არ არის რეგულარული, ეფექტური, მაგრამ მოკლევადიან რეჟიმში ყოველთვის მუშაობს, პირადი ურთიერთობები. დღეს ეს გამქრალია, არავის კონტაქტები არა აქვს რუსულ და ოსურ მხარესთან და არ იციან, რა იქნება ხვალ. ამ ფონზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაა იქ, რომელიც აკვირდება, როგორც წესი, ქართულ მხარეს, რადგან რუსეთი არ მონაწილეობს ამაში და ევროკავშირის მისიამ უნდა თქვას, არღვევს თუ არა ქართული მხარე პირობებს, იმ ვალდებულებებს რომლებიც ქართულ მხარეს აღებული აქვს ევროკავშირის წინაშე. მგონი, არ არღვევს, მაგრამ ეს უნდა თქვა ხმამაღლა, რათა ჩვენც ვიცოდეთ, რომ ჩვენი ბრალი არ არის. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ჩუმად არის და ამ დროს შენც ეჭვი გეპარება, იქნებ ჩვენც არა ვართ მართლები?! რატომ არიან ჩუმად, მეც კი დაბნეული ვარ.

– დიდი გაურკვევლობაა, პრობლემებზე არავინ საუბრობს და ამით ოკუპანტი სარგებლობს?

– რა თქმა უნდა. ჩვენ თვითონ არ ვართ სიტუაციაში გარკვეული. ჯერ ჩვენ უნდა გავერკვეთ სიმართლეში. მე როცა ვიყავი სახელმწიფო მოხელე, ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს ყველაფერი ხდება საბჭოთა კავშირის დროს არსებული რუკებისა და ხაზების მიხედვით. თამამად ვლაპარაკობდი ამაზე, ვიცოდი, რომ მომხვდებოდა ამის გამო საზოგადოებისგან, მაგრამ მე მაინც ყოველთვის სიმართლეს ვამბობდი, რომ რუსეთს ხელში უჭირავს გარკვეული რუკები, ეს ჩვენთვის მიუღებელია, თუმცა ისინი თავიანთი ლოგიკით მოქმედებენ. საქართველოს ხელისუფლებაში კი დიდი გაურკვევლობაა. ამ გაურკვევლობას სათავისოდ იყენებს თუნდაც საქართველოში არსებული სხვადასხვა ძალა. სიტუაციას სულ უფრო ბუნდოვანს ხდიან. ამით „ქართული ოცნება“ მეტ დარტყმას იღებს და ამის ღირსი ნამდვილად არის. ეს ნამდვილად დაიმსახურა.

– ანუ ის პოლიტიკა, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას აქვს არჩეული, არაფრისმომტანია, არ უნდა გვქონდეს რამის იმედი?

– ამ ხელისუფლების პოლიტიკა არ მესმის. ამათი პოლიტიკაა, რომ ვითომ არაფერი ხდება. თუმცა ნამდვილად ხდება. ხელისუფლებას კი შეშინებული სირაქლემის პოზიცია აქვს. ამ ფონზე მიმაჩნია, რომ საჭიროა მეტი სიცხადე, კომპეტენტურობა და კვალიფიციურობა. ამ პრობლემებზე საჯაროდ უნდა იყოს ლაპარაკი. თუ არ ილაპარაკე პრობლემაზე, როგორ მოგვარდება?! მათ უნდა ისაუბრონ ამაზე, რომ დაეხმარონ და დაიცვან. ხომ უნდა გვესმოდეს მათი განცხადებები, რა ხდება ქვეყანაში ამ მიმართულებით. ეს ხელისუფლება ამ კუთხით საერთოდ არაფერს აკეთებს.

– რუსი ოკუპანტები პერიოდულად სიტუაციას ძაბავენ. დღეს ჩორჩანაში ტექნიკის გამოყვანა რას ემსახურება, მუქარას მათი მხრიდან?

– ოკუპანტების ლოგიკა მესმის. ისინი იქცევიან ოკუპანტის ფანტაზიებიდან გამომდინარე. რუსეთის ქმედებები ჩემთვის გასაგებია. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, შეინარჩუნონ ის, რაც მოიპოვეს ძალისმიერი მეთოდებით. აი, მე არ მესმის ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა, საერთოდ აზრზე არა ვარ, რა უნდათ. რუსი არის ოკუპანტი და იქცევა ოკუპანტის შესაბამისად. ქართული მხარე რას აპირებს, რა გეგმები აქვს, ეს სადმე არის გაცხადებული?!

– ამაზე არ საუბრობს ჩვენი ხელისუფლება?

– არა. ეს ხელისუფლება მხოლოდ რეაგირების პროცესშია. ის რეაგირებს მხოლოდ მავთულხლართებზე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რუსები მავთულხლართებს რომ არ ავლებდნენ, კონფლიქტი მათი გადმოსახედიდან არ იარსებებდა. მავთულხლართები, იმასთან შედარებით, რაც არის ტატუნაშვილისა და ოთხოზორიას მკვლელობები, მსუბუქი მოვლენაა, მაგრამ მავთულხლართები იგივე ფენომენია, რაც ტატუნაშვილისა და ოთხოზორიას მკვლელობები, ანუ მოუგვარებელი კონფლიქტების შედეგებია. ამიტომ მავთულხლართების გავლებას კი არ უნდა ვებრძოდეთ, რაც თავისთავად აუცილებელია. კონფლიქტებს უნდა ვაგვარებდეთ, რომლის გამოვლენაც არის მავთულხლართების გავლება. კონფლიქტი უნდა მოვაგვაროთ. რადგან არ ვაგვარებთ, ეს კიდევ და კიდევ ღრმავდება.

– რამდენად ესმის პრობლემის არსი ჩვენს ხელისუფლებას?

– მე ვერ ვხედავ, რომ ესმის. მე ვერ ვხედავ ადამიანებს, რომლებმაც იციან, იაზრებენ, რა არის კონფლიქტი. სრული არაკომპეტენტურობა და არაკვალიფიციურობაა ამ ხელისუფლებაში. მათ კონფლიქტის არსიც კი არ იციან, წარმოდგენა არა აქვთ კონფლიქტებზე. ეს ძალიან ცუდია.

მაკო გომურს ხელოვნური თვალი ჩაუსვეს

მაკო გომურს, რომელმაც თვალი 20 ივნისის ღამეს პარლამენტის წინ აქციის დაშლის შედეგად დაკარგა, გერმანიაში ხელოვნური თვალი ჩაუსვეს.

ამის შესახებ მაკო გომურმა ფეისბუქზე დაწერა:

„მე და ახალი თვალი. სიხარულს კაი ხალხს გავუზიარებ-თქო და სხვა ადგილი ვერ ვნახე.

პ.ს. დიახ, შრამი რომ არა, ვერც კი გაარჩევდით“.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

დავით ქაცარავა: „ჩორჩანის ტყეში ქართული საგუშაგოს გახსნა სწორი გადაწყვეტილებაა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ ლიდერი დავით ქაცარავა პასუხობს.

– ბატონო დავით, ოკუპანტები ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანასთან ჯავშანტექნიკით გამოჩნდნენ. რა ხდება ახლა იქ?

– დიახ, ასეულია შემოყვანილი ჩორჩანის მიმდებარე ტერიტორიაზე. ჯერჯერობით ისინი განლაგდნენ თავიანთ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ასევე რამდენიმე ერთეული ჯავშანტექნიკაა დისლოცირებული იქვე, ჩვენი საგუშაგოს სიახლოვეს.

ისინი ითხოვენ ჩვენი საგუშაგოს დემონტაჟს. იქიდან მიდის პედალირება იმაზე, რომ თურმე ეს ოსური ტერიტორიაა და ჩვენ შევიჭერით ოსურ ტერიტორიაზე.

– რას იტყვით ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე?

– არსებობს საქართველოს ოკუპირებული და არაოკუპირებული ტერიტორია. რუსულ-ოსური მხრიდან ეს ისტერიკა ემსახურება მხოლოდ ერთ რამეს – ისინი ცდილობენ, კონფლიქტი გაღვივდეს და ახალ ფაზაში გადავიდეს. ისინი გველაპარაკებიან ულტიმატუმის ენით და სასწრაფოდ ითხოვენ ქართული საგუშაგოს დემონტაჟს.

– რატომ აყენებენ ულტიმატუმს, ეს ტერიტორია ოდესმე იყო მათ მიერ კონტროლირებადი?

– ჩორჩანის ტყე არასოდეს შედიოდა ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ეს ყოველთვის იყო ხაშურის ტერიტორია. უბრალოდ, 90-იანი წლების შემდეგ ჩორჩანის ტყე არ კონტროლდებოდა ჩვენი ხელისუფლების მიერ და მხოლოდ შარშან, 2018 წლის ივლისში, ჩვენმა მოძრაობამ დაიწყო აქტიური პატრულირება იმ პერიმეტრზე, რომელიც უკვე მონიშნული ჰქონდა რუსულ მხარეს შესაღობად და ჩვენ მოვახერხეთ ამ ხნის განმავლობაში ისეთი პირობების შექმნა, როდესაც უკვე 2019 წლის 8 თებერვალს რუსულმა მხარემ ერგნეთის შეხვედრაზე დააფიქსირა, რომ ჩორჩანის ტყე არ შედის მათი კონტროლისა და მოქმედების არეალში და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო საუბრები საგუშაგოს გახსნაზე.

საგუშაგო, ფაქტობრივად, გამზადებულია. ეს ტერიტორია მთლიანად ჩვენ მიერ კონტროლირებადი გახდა.

– რა ხდება გუგუტიანთკარში?

– გუგუტიანთკარში ამ ეტაპზე დასრულებულია შემოღობვა, რუსები აღარ ჩანან, აღარ მუშაობენ. რაც გეგმაში ჰქონდათ, ის განახორციელეს. საბნუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ მისცა მათ ამის საშუალება.

– რას გულისხმობთ საშუალების მიცემაში?

– ჩვენ ხელისუფლებამ არ მიგვიშვა გუგუტიანთკარში იმისთვის, რომ გაგვემეორებინა ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ ატოცში. რადგან ატოცში და გუგუტიანთკარში ერთი და იგივე პროცესები იყო. ჩვენ ატოცში შევძელით, შეგვეჩერებინა ბორდერიზაციის პროცესი, მაგრამ ხელისუფლებამ არ მიგვიშვა გუგუტიანთკარში, რომ გაგვემეორებინა ატოცის გამოცდილება.

– მიზეზი?

– არგაღიზიანების პოლიტიკა, რომელსაც ზოგადად ჩვენი ხელისუფლება ატარებს. ეს არის ჯერჯერობით ერთადერთი პასუხი.

– ამ არგაღიზიანების პოლიტიკით ყოველდღიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ ახალ ტერიტორიებს ვკარგავთ.

– კი ბატონო, გეთანხმებით. აბსოლუტურად არ ვეთანხმები არგაღიზიანების პოლიტიკას და მივესალმები ჩვენი ხელისუფლების გადაწყვეტილებას, გახსნას საგუშაგო ჩორჩანის ტყეში. ეს არის პრინციპული და ძლიერი გადაწყვეტილება, რომელმაც გამახარა.

თუ ამას შევინარჩუნებთ და რუსულ-ოსურ ულტიმატუმსა და მოთხოვნებს არ დავაკმაყოფილებთ, ხელისუფლებას მადლობას ვეტყვი.

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა თბილისს ახალი პრეტენზიები წამოუყენა

მარიამ მჭედლიშვილი

29 მაისის ერგნეთის ტრადიციულ შეხვედრამდე ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ადმინისტრაციამ ქართულ საგუშაგოსთან წნელისის მიმდებარედ თავისი შეიარაღებული მესაზღვრეები მიაკლინა.

ამას წინ უძღოდა კონფლიქტური რეგიონის სხვადასხვა უწყების, ასევე პარლამენტისა და დე ფაქტო პრეზიდენტის პანიკური განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება საოკუპაციო ზოლზე (მათი სიტყვებით, სახელმწიფო საზღვარზე) აგრესიას ახორციელებს.

ოსები საგონებელში ჩააგდო ქართულმა ბლოკსაგუშაგომ, რომელიც წნელისთან ბორცვზეა აღმართული და ქვიშიანი ტომრებით არის შემოღობილი. მომგებიანი დისლოკაციის წყალობით „ოპერაციაზე“ გამოსულმა ოსმა მესაზღვრეებმა საგუშაგოსთან ახლოს მისვლა ვერ შეძლეს. ისინი (დე ფაქტო პრეზიდენტ ბიბილოვის ჩათვლით) ქართულ საგუშაგოს დურბინდებიდან ზვერავდნენ.

ორი დღის წინ რუსეთისა და მის მიერ მართული ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ნამოქმედარი – რკინის ღობე საკუთარი თვალით იხილეს ჟენევის მოლაპარაკებების თანათავჯდომარეებმა – ტოივო კლაარმა და რუდოლფ მიხალკამ. ეს ევროპელი დიპლომატები ბორდერიზაციას ჟენევის მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზეც გააპროტესტებენ.

რა ხდება წნელისში?

ოსები „ქართული აგრესიის“ საპასუხოდ თავიანთი საგუშაგოების განთავსებით იმუქრებიან. მათი თქმით, ოსური ბლოკსაგუშაგოები განლაგდება იქ, სადაც ადრე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოლქის ადმინისტრაციული საზღვარი გადიოდა.

ცხინვალის პარლამენტი გეგმავს განცხადების მიღებას, რომელიც თბილისს მოუწოდებს, ხელი აიღოს პროვოკაციებზე და გაიყვანოს საქართველოს სამხედრო ფორმირებები რესპუბლიკის ტერიტორიიდან.

ბორდერიზაცია ახალი მოვლენა არ არის. ცხინვალის რეჟიმი ამ ზაფხულს საოკუპაციო ზოლის გადმოწევას არ სჯერდება. საოკუპაციო ადმინისტრაცია სხვა მიმართულებითაც გააქტიურდა. მალე ცხინვალში გამოვა მონოგრაფია, რომელიც 1920 წლის გენოციდს აღწერს. იქ ირწმუნებიან, რომ საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ ოსებს გენოციდი მოუწყო. ამ გენოციდის აღიარებას გეგმავს რუსეთის სახელმწიფო დუმა.

ცხინვალი ასევე იმუქრება, რომ ჩრდილოეთ ოსეთის თანამოძმეებთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე დასვამს ტერიტორიულ საკითხს. ცხინვალის ვერსიით, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ოსებს მიწები წაართვა. ამ მიწების უდიდესი ნაწილი ყაზბეგის რაიონს ეკუთვნის.

ცხინვალის რიხიანი განცხადებების უკან არ ჩანს დოკუმენტური მასალები. ოსები ვერ ჩამოყალიბებულან, რუსეთთან უნდათ მიერთება თუ „დამოუკიდებლობა“, რომელსაც მეთერთმეტე წელია ზეიმობენ.

დროდადრო რუსეთი მოუწოდებს თბილისს, დაიწყოს დიალოგი ცხინვალის, ასევე სოხუმის ხელისუფლებებთან. კრემლისთვის მომგებიანია იმის ჩვენება, რომ არსებობს კონფლიქტები ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და აფხაზებს შორის, რუსეთი კი მხოლოდ შუამავლისა და გადამრჩენლის როლს ასრულებს.

ამ პოზიციას განმარტავს რუსეთის ე.წ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რესპუბლიკაში მარატ კულახმეტოვი, რომელიც 2008 წელს შერეული სამშვიდობო ძალების მეთაური იყო.

– რუსეთი ყოველთვის მზად არის თბილისთან თანამშრომლობისათვის, ასევე საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების მოგვარების ხელშეწყობისათვის. თუმცა თავიდან პირველი ნაბიჯი თბილისმა უნდა გადადგას. მან ხელი უნდა მოაწეროს რესპუბლიკის მიმართ ძალის გამოუყენებლობის შეთანხმებას, – აღნიშნავს კულახმეტოვი.

ერგნეთის შეხვედრა ჩაიშალა

გუშინ, 29 აგვისტოს, ერგნეთის ტრადიციული შეხვედრა ჩაიშალა.

– სამწუხაროდ, ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაჟღერებული კონსტრუქციული შეთავაზებები არ იქნა გაზიარებული და მათ მორიგ ჯერზე ჩაშალეს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მორიგი შეხვედრა.

ამის შესახებ ერგნეთის 95-ე შეხვედრის შემდეგ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ანთაძემ განაცხადა.

როგორც ანთაძემ განმარტა, შეხვედრაზე საუბარი უნდა ყოფილიყო სოფელ ჩორჩანაში განვითარებულ მოვლენებზე, თუმცა აღნიშნული საკითხის განხილვისას ცხინვალის წარმომადგენლებმა, საოკუპაციო ძალების მხარდაჭერით, დაიჭირეს უკიდურესად დექსტრუქციული პოზიცია და რამდენიმეჯერ გააჟღერეს ულტიმატუმი და დაემუქრნენ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატის ფუნქციონირებას იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდებოდა.

– ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხაზგასმით იქნა დაფიქსირებული პოზიცია, რომ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი არ გახლავთ ის ფორმატი, სადაც მისაღებია ულტიმატუმების ენით საუბარი და ნებისმიერი საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს დიალოგის გზით. სამწუხაროდ, ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაჟღერებული კონსტრუქციული შეთავაზებები მათ მიერ არ იქნა გაზიარებული და მათ ჩაშალეს მორიგ ჯერზე შეხვედრა, – განაცხადა ანთაძემ.

ოსებმა წნელისთან სამხედრო ქვედანაყოფი განათავსეს

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. ძალოვნებმა სოფელ წნელისთან, რომელსაც დე ფაქტო რეჟიმი უისთას უწოდებს, სამხედრო ქვედანაყოფი განათავსეს.

სპუტნიკის ინფორმაციით, ამის შესახებ „უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ეკატერინა ბიაზროვამ განაცხადა.

მისი ინფორმაციით, ადგილზე გადაყვანილია „უშიშროების კომიტეტის“, ომონისა და სხვა „ძალოვანი უწყებების“ ქვედანაყოფები.

მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება უკავშირდება ქართველი ძალოვნების მიერ სოფელ წნელისთან პოლიციის ბლოკპოსტის განთავსებას, „რათა დაცული იყოს სამხრეთ ოსეთის იმ მოქალაქეების უსაფრთხოება, რომლებიც საზღვრისპირა დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობენ“.

ბიაზროვას განცხადებით, ქართულმა მხარემ მძიმე სამშენებლო ტექნიკა უკვე გაიყვანა, მაგრამ საპოლიციო ობიექტის აღჭურვის სამუშაოები არ შეჩერებულა – ხდება სამშენებლო მასალების გადმოტვირთვა.

მისივე ცნობით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ქართული პოლიცია და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მუდმივად იმყოფება.

ერგნეთის შეხვედრაზე სამხრეთ ოსეთის დელეგაციის ხელმძღვანელ ეგორ კოჩიევის განცხადებით, მათ ქართული მხარისგან სოფელ წნელისთან პოსტის მოშორება და პროვოკაციების შეწყვეტა მოითხოვეს.

– სამხრეთ ოსეთის დელეგაციამ ამ საკითხის განხილვისას შეწყვიტა და დატოვა დღევანდელი შეხვედრა, რადგან ქართული მხარე არ წამოვიდა კონსტრუქციულ დიალოგზე. შეხვედრის მონაწილეები დაიშალნენ ისე, რომ არც კი დაწყებულა საერთო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა, – განაცხადა კოჩიევმა.

ოსებმა შეხვედრაზე პირობა წამოაყენეს, რომ ქართულმა მხარემ პარასკევს 06:00 საათამდე გააუქმოს აღნიშნული უკანონო პოსტი.

– იმ შემთხვევაში, თუ ეს არ შესრულდება, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლება მიიღებს ყველა კანონიერ ზომას მოსახლეობის უსაფრთხოებისა და საზღვრის დაცვისთვის, – განაცხადა კოჩიევმა.

სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთი ჩვენს ნერვებზე თამაშობს“

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ფრანგული ბიზნესკომპანიების გაერთიანების „მედეფის“ მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოში რუსეთის ქმედებებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ რუსეთი ყოველდღიური პროვოკაციებით ცდილობს საქართველოს დამორჩილებას, თამაშობს ნერვებზე და ცდილობს, მოაქციოს ისეთ საზღვრებში, რომელიც საქართველოს დააკარგვინებს სამ მონაპოვარს: სტაბილურობას, დემოკრატიასა და ევროპულ გზას.

– ჩვენი ევროპაში დაბრუნების სურვილი ვერაფერმა შეცვალა. რუსეთის ეკონომიკური სანქციები მიზნად ისახავდა ჩვენ მიერ არჩეული გზის შეცვლას, მაგრამ სანქციებმა არ გაამართლა. 2008 წლის ომი იყო რუსეთის მიერ ჩვენი სტრატეგიული, პროდასავლური ორიენტაციის შეცვლის მცდელობა. ვხედავთ, ეს მცდელობა წარუმატებელია! რუსეთი ყოველდღიური პროვოკაციებით ცდილობს ჩვენს დამორჩილებას. ის ჩვენს ნერვებზე თამაშობს და ცდილობს, მოგვაქციოს ისეთ საზღვრებში, რომელიც დაგვაკარგვინებს ჩვენს სამ მონაპოვარს: სტაბილურობას, დემოკრატიასა და ევროპულ გზას, თუმცა ის ამას ვერ მიაღწევს. ჩვენი მიზანდასახულობა ძლიერია. ჩვენი ევროპული მისწრაფება ჩვენივე ფესვებით აიხსნება, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მისი სიტყვებით, საქართველო რუსეთზე ეკონომიკურად ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული.

– ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება კიდევ უფრო შევამციროთ და ჩვენი დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად ბაზრის დივერსიფიცირება მოვახდინოთ. ჩვენ გვსურს, ჩვენი მეწარმეებისათვის იყოს მეტი ევროპული ინვესტიცია, ჩვენს რეგიონებში იყოს მეტი ევროპელი ტურისტი, ჩვენს პროდუქციას ჰყავდეს მეტი ევროპელი მომხმარებელი! ჩამოდით საქართველოში და დარწმუნდით, რომ ჩვენ ევროპული ქვეყანა ვართ. ჩამოდით ამ ზაფხულს, ამ ზამთარს და ოთხივე სეზონზე. საქართველო 5 მილიონი ევროპელის ქვეყანაა და ის დიდ ევროპულ ოჯახს უნდა დაუბრუნდეს, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

პოლიციელ თარაშ მუკბანიანის მკვლელობაში მსჯავრდებული რამაზ დევაძე პრეზიდენტმა შეიწყალა

რა მოხდა 2014 წლის 27 დეკემბერს ბათუმის ღამის კლუბში

პრეზიდენტის მიერ 28 აგვისტოს შეწყალებულ 34 მსჯავრდებულს შორის ერთ-ერთი რამაზ დევაძეა. იგი ბათუმელი პოლიციელის, თარაშ მუკბანიანის მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს. რამაზ დევაძეს 2015 წელის 18 სექტემბერს 12 წლით მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა.

საუბარია 2014 წლის 27 დეკემბერს ბათუმში, ღამის კლუბ „ლეგასში“ 22 წლის პოლიციელის მკვლელობაზე.

მკვლელობის ღამეს პოლიციელი კლუბში სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა, თუმცა მას თან ჰქონდა სამსახურებრივი ცეცხლსასროლი იარაღი. ის სწორედ ამ იარაღიდან გასროლით დაიღუპა.

– რამაზ დევაძე გუშინ გამოვიდა ციხიდან, მაგრამ ამ ეტაპზე საუბარი არ სურს მედიასთან, – განაცხადა ადვოკატმა დავით ჯაფარიძემ.

მისი თქმით, რამაზ დევაძეს განზრახ არ მოუკლავს მუკბანიანი.

– ეს იყო გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობა და მისთვის მხოლოდ სამი წელი უნდა მიესაჯათ, როგორც გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის. არცერთი ინსტანციის სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება ღამის კლუბის ვიდეო კამერის ჩანაწერებს, სადაც ეს ნათლად ჩანს – კლუბში თავდაპირველად სროლა პოლიციელმა დაიწყო. რამაზმა მისთვის იარაღის წართმევა შეძლო და ტყვიის ამოღების დროს მოხდა შემთხვევითი გასროლა, – უთხრა ნეტგაზეთს ადვოკატმა ჯაფარიძემ.

„ბათუმელები“ მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვებს აშუქებდა. სასამართლო პროცესზე გამოქვეყნებულ ვიდეო ჩანაწერში ჩანდა, რომ ღამის კლუბის მეორე სართულზე, კიბის უჯრედთან ახლოს მყოფი თარაშ მუკბანიანი ძალიან მთვრალი იყო და ცეკვავდა გოგოსთან ერთად. ამ დროს რამდენიმე კაცმა გაიარა ზუსტად იმ სივრცეში, სადაც თარაშ მუკბანიანი ცეკვავდა. ეს მოძრაობა თანდათან გადაიზარდა ჩოჩქოლში და შეხლა-შემოხლაში. სწორედ ამ დროს ჩნდება პირველად თარაშ მუკბანიანის ხელში იარაღი.

კადრში ასევე ჩანდა, რომ თარაშ მუკბანიანი იარაღს ადამიანებს უმიზნებდა. ცოტა ხანში კი რამაზ დევაძეს ის ზურგიდან ჰყავდა შებოჭილი და საფეხურებით პირველ სართულზე ჩაჰყავდა. ამ დროს პოლიციელს იარაღიანი ხელი ისევ თავისუფალი ჰქონდა.

პროკურატურა მაშინ აცხადებდა, რომ კლუბში კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, როცა ამ საქმისთვის კიდევ ერთმა მსჯავრდებული ბესიკ მამულაძე კლუბში მყოფ აზერბაიჯანის მოქალაქე ფირუზა ა.-ს და უზბეკეთის მოქალაქე ილაჰიმ მ.-ს აიძულებდა სექსუალურ მომსახურებას. ამ დროს მათთან მივიდა პოლიციელი თარაშ მუკბანიანი და სთხოვა თავი დაენებებინა ქალებისთვის. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ბესიკ მამულაძე ამან გააღიზიანა და დაიწყო გინება. ამ დროს საქმეში ჩაერია მასთან ერთად მყოფი მოჭიდავე რამაზ დევაძე და ორივე 5-6 წუთის განმავლობაში სცემდა ან უკვე გარდაცვლილს. შემდეგ კი რამაზ დევაძემ მას წაართვა პოლიციელზე რიცხული ტაბელური იარაღი და ერთჯერადად გაისროლა. თარაშ მუკბანიანს ტყვია მოხვდა თავის არეში და ადგილზე გარდაიცვალა.

– მკვლელობის მოტივაცია რამაზ დევაძეს არ ჰქონია. მოტივაციის გარეშე კი მკვლელობა არ არსებობს... სასამართლომ ამ სიმართლის დანახვაზე უარი თქვა, რადგან პოლიციელი იყო მოკლული, – დასძინა ადვოკატმა დავით ჯაფარიძემ.

ამავე საქმეზე მსჯავრდებული ბესიკ მამულაძე სასამართლომ მხოლოდ ხულიგნობისთვის გაასამართლა და 2015 წელს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„ბათუმელების“ მიერ 2015 წელს სასამართლოდან გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, რამაზ დევაძემ და კიდევ ორმა პიროვნებამ ღამის კლუბის ინციდენტამდე რამდენიმე თვით ადრე, 2014 წლის 26 ივნისს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს კიდევ ერთ პოლიციელს და სხვა პირებს. ამ შემთხვევაში სხვებთან ერთად პოლიციის ინსპექტორი – ილია კუკალაძე დაზარალდა.

რამაზ დევაძე 2015 წლის თებერვალში პოლიციელებმა მაშინ დააკავეს, როცა იგი სარფის საბაჟო პუნქტიდან საქართველოს დატოვებას აპირებდა.

❖ ❖ ❖

პრეზიდენტის მიერ რამაზ დევაძის შეწყალებას საზოგადოებაში ძირითადად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავამ სალომე ზურაბიშვილის გადაწყვეტილებას გაუგებარი უწოდა.

– შეწყალება, იცით, რომ პრეზიდენტის პრეროგატივაა. ეს მისი კონსტიტუციური უფლებაა, თუმცა ჩემთვის ეს გადაწყვეტილება გაუგებარია. მეტ კომენტარს ამაზე ვერ გავაკეთებ, – განაცხადა ხულორდავამ.

იყალთოში მანქანა ხეს შეეჯახა

დაშავდა 2 მამაკაცი

თელავის მუნიციპალიტეტში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. სოფელ იყალთოში მსუბუქი მანქანა ხეს შეეჯახა. თვითმხილველების ინფორმაციით, შედეგად დაშავდა ორი მამაკაცი. მათგან ერთს ადგილზე ჩაუტარდა სამედიცინო დახმარება, 19 წლის ბიჭი კი თელავის რეფერალურ საავადმყოფოში მოათავსეს.

ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

შსს-მ დააკავა პირი, რომელიც ქობულეთში ცოლ-ქმარს დაეჯახა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქობულეთში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე მძღოლი დააკავა.

შეგახსენებთ, რომ 17 აგვისტოს ქობულეთში მსუბუქი ავტომობილი ქვეითად მოსიარულე ცოლ-ქმარს ქვეითთა გადასასვლელზე დაეჯახა. 45 წლამდე ქალი ადგილზე გარდაცვალა, მამაკაცი კი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში დაკავების ფაქტს ადასტურებენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროში განუცხადეს, 1990 წელს დაბადებული მამაკაცი საპატრულო პოლიციამ 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით დააკავა. გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ ის ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ავტომობილს ნასვამ მდგომარეობაში მართავდა. დანაშაული 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქართველი კანონიერი ქურდი კვეჟოვიჩი თურქეთში ცემეს

თურქეთში ქართველ კანონიერ ქურდს, გურამ ჩიხლაძეს, იმავე კვეჟოვიჩს, ფიზიკურად გაუსწორდნენ.

შემთხვევა გავლენიან კრიმინალურ ავტორიტეტ ნადირ სალიფოვთან (ლოტი გული) შეხვედრის დროს მოხდა.

რუსული მედიის ცნობით, კვეჟოვიჩს 2017 წელს სტამბოლში მოკლული კანონიერი ქურდის როვშან ჯანიევის გარემოცვასთან ახლობლობა არ აპატიეს. პრესა წერს, რომ გურამ ჩიხლაძეს ნადირ სალიფოვის გარემოცვა გაუსწორდა, რომელთა სახელიც როვშან ჯანიევის მკვლელობასთან არის დაკავშირებული.

ბოლოს გურამ ჩიხლაძის სახელმა გასული წლის იანვარში გაიჟღერა, როდესაც ის მოსკოვში ნაქირავებ ბინაში დააკავეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩიხლაძე წლების განმავლობაში რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდა, მას ქვეყანაში არალეგალურად ყოფნას ედავებოდნენ.

გურამ ჩიხლაძე კანონიერ ქურდად 16 წლის ასაკში აკურთხეს. მის სახელს უკავშირდება ქურდულ სამყაროში ერთ-ერთი გახმაურებული შურისძიება.

მის საქმიანობაში დიდი როლი ითამაშა 1994 წელს მომხდარმა ფაქტმა, როდესაც 9 წლის გურამ ჩიხლაძის თვალწინ ჩაცხრილეს დედა და მამა (ცნობილი კანონიერი ქურდი ავთო ჩიხლაძე, იგივე კვეჟო).

შემთხვევა მოსკოვში, ჩიხლაძეების ბინაში მოხდა. მაშინ თავდამსხმელებმა, ასევე, ესროლეს 9 წლის გურამ ჩიხლაძესაც, თუმცა ის სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა.

20 წლის შემდეგ, 2014 წლის 11 იანვარს, მოსკოვის შემოგარენში ქართველი კანონიერი ქურდი დავით მელქაძე, მეტსახელად დათო ფოტინსკი, მოკლეს.

კრიმინალურ ავტორიტეტს თავდამსხმელმა ცეცხლი კრასნოგორსკის ჰიპერმარკეტის მიწისქვეშა ავტოფარეხში გაუხსნა, სადაც ის მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად იმყოფებოდა.

პრესა წერდა, რომ ჰიპერმარკეტიდან გამოსულ მელქაძეს ავტომანქანამდე რამდენიმე ნაბიჯი აშორებდა, როცა მოულოდნელად უცნობმა ცეცხლი გაუხსნა. მელქაძე ინსტინქტურად უმცროს ქალიშვილს გადაეფარა, ხოლო ცოლსა და უფროს ვაჟს (10 წლის) დაუყვირა, გაიქეცითო. მოულოდნელად მკვლელის იარაღში ტყვია გაიჭედა, რამაც საშუალება მისცა მელქაძესა და მის მხლებლებს ჰიპერმარკეტში შეეღწიათ, თუმცა კილერი არ მოეშვა და სროლით დაედევნა.

მძიმედ დაჭრილი მელქაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ითქვა, რომ სწორედ უმცროსმა ჩიხლაძემ იძია შური დავით მელქაძეზე, რომელსაც 20 წლის წინ მისი მშობლების მკვლელობაში ადანაშაულებდა. ნიშანდობლივია, რომ დავით მელქაძე 10 წლის ვაჟის თვალწინ დაცხრილეს, ისევე, როგორც 20 წლის წინ მოკლეს კვეჟო 9 წლის ვაჟის თვალწინ.

ავთანდილ წერეთელმა 500.000-ლარიანი გირაოს შეფარდება გაასაჩივრა



ბრალდებულმა ბიზნესმენმა ავთანდილ წერეთელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მას აღკვეთის ღონისძიების სახით 500.000-ლარიანი გირაო შეეფარდა, გაასაჩივრა.

როგორც ჟურნალისტებს ბიზნესმენის ადვოკატმა კახა წერეთელმა განუცხადა, მისი მოთხოვნა კვლავ უცვლელია. ის ავთანდილ წერეთლის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვს.

– მიგვაჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების არანაირი საფუძველი არ არსებობს. საფრთხე იმისა, რომ ის მიემალება გამოძიებას, ან მოწმეებზე ზემოქმედებას მოახდენს, არ არსებობს. საჩივარში ვცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ თავად ბრალდების დადგენილების აღწერილობითი ნაწილი არ შეესაბამება იმ დასკვნებს, რომელიც ბრალდების მხარეს აქვს.

საჩივრის განხილვის ვადები გარკვეულ ტექნიკურ საკითხებთანაც არის დაკავშირებული და ალბათ, დაახლოებით, 5-6 დღე დასჭირდება. რაც შეეხება გადახდის საკითხს, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას დაველოდებით, – განაცხადა ადვოკატმა წერეთელმა.

ცოლის თვითმკვლელობამდე მიყვანისთვის ლ.დ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით მეუღლის თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით 1964 წელს დაბადებული ლ.დ. დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, იმ მოტივით, რომ იგი იყო ოჯახის უფროსი, თავის მეუღლეზე სისტემატურად ძალადობდა და ამცირებდა. მიუხედავად ამისა, პოლიციისათვის დახმარების თხოვნით არასოდეს მიუმართავთ.

მორიგ კონფლიქტს ადგილი ჰქონდა 2019 წლის 24 აგვისტოს, რის შემდეგაც ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება გენდერული ნიშნით ოჯახის წევრის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პრიმა 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გლდანის გამგებლის მოადგილე თანამშრომელს სცემს?

სოციალური ქსელის მომხმარებელმა გიორგი ყუფარაძემ გაავრცელა ვიდეო, რომელშიც ჩანს, რომ, სავარაუდოდ, გლდანის გამგებლის მოადგილე თანამშრომელზე ფიზიკურად ძალადობს.

აღნიშნული ვიდეო სოციალურ ქსელში 27 აგვისტოს გავრცელდა. გაირკვა, რომ ვიდეოში ასახული დაპირისპირება 2017 წელს მოხდა.

„ესე იმართება გლდანის რაიონის გამგეობა. თათბირზე წამოწევ რამე სახის პრობლემას და გამოგიყვანს მოადგილე და ფიზიკურ შეურაცხყოფას მოგაყენებს.

აღნიშნულ ვიდეოში გლდანის გამგებლის მოადგილე ლ.ნ. ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს გლდანის გამგეობის თანამშრომელს!

რა მდგომარეობაა გლდანის გამგეობაში, ხომ ხედავთ, ამ ყველაფერს საგულდაგულოდ მალავდა გამგებელიც და სხვა მასთან დაახლოებული (თავის სასტავი) პირებიც. როგორც ვიცი, ასევე მუქარებიც იყო თანამშრომლებზე, რომ ხმა არ ამოეღო არავის!“ – დაწერა მოქალაქემ.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლით უკვე დაწყებულია, რაც ძალადობას გულისხმობს.

ალექსეი გონჩარუკი უკრაინის ახალი პრემიერი გახდა

უკრაინის ახალმა რადამ მუშაობა დაიწყო

გუშინ, 29 აგვისტოს, კიევში უკრაინის უმაღლესი რადას მეცხრე მოწვევის შემადგენლობამ, რომელიც 21 ივლისს აირჩიეს, მუშაობა დაიწყო.

კონსტიტუციის თანახმად, დეპუტატებმა საზეიმო ვითარებაში დადეს ფიცი, რომელიც უხუცესმა დეპუტატმა წაიკითხა. შემდეგ შესვენება გამოცხადდა, რომლის დროსაც დეპუტატებმა ხელი მოაწერეს ფიცის ტექსტს.

13 საათზე სხდომა დაიწყო, რომელზეც დეპუტატებმა დღის წესრიგის 27 საკითხი უნდა განიხილონ.

სხდომას პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკიც ესწრებოდა.

რადაში პრეზიდენტის მხარდამჭერ პარტიას „ხალხის მსახური“ აბსოლუტური უმრავლესობა აქვს. მას საპარლამენტო უმრავლესობისა და მთავრობის ჩამოყალიბება დამოუკიდებლად, კოალიციის შექმნის გარეშე შეუძლია. „ხალხის მსახური“ 450 წევრიდან 254 მანდატს ფლობს.

მმართველი პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარედ დეპუტატი დავით არახამია განიხილება. მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ მზად არის, ფრაქციას უხელმძღვანელოს, თუმცა აღიარებს, რომ ეს რთული იქნება.

მისივე შეფასებით, უკრაინის საპარლამენტო ისტორიაში ასეთი დიდი ფრაქცია ჯერ არ ყოფილა.

– აქ ბევრი სირთულეა, მაგრამ ცდა შეიძლება, – დასძინა არახამიამ.

მთავრობის მეთაურის თანამდებობაზე პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე (ეკონომიკურ საკითხებში) ალექსეი გონჩარუკი წარადგინეს.

რადამ მისი კანდიდატურა დაამტკიცა. ალექსეი გონჩარუკი უკრაინის ახალი პრემიერი გახდა.

იტალიაში ახალი სამთავრობო კოალიცია შეიქმნა

იტალიაში მემარცხენე ცენტრისტული დემოკრატიული პარტია და „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობა“ ახალი სამთავრობო კოალიციის შექმნაზე შეთანხმდნენ.

კოალიცია შექმნა ორმა პარტიამ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთთან მკვეთრად იყვნენ დაპირისპირებული. ამ გადაწყვეტილებამდე ისინი რამდენიმედღიანი რთული მოლაპარაკებების შემდეგ მივიდნენ.

– მიგვაჩნია, რომ ეს ვარიანტიც უნდა მოვსინჯოთ, – განაცხადა დემოკრატიული პარტიის ეროვნულმა მდივანმა ნიკოლა ძინგარეტიმ მას შემდეგ, რაც ქვეყნის პრეზიდენტს შეხვდა და მას ახალი კოალიციის შექმნა აცნობა.

პარტიები შეთანხმდნენ, რომ „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ჯუზეპე კონტე პრემიერ-მინისტრის პოსტზე დარჩება, ხოლო დემოკრატიული პარტია რამდენიმე მნიშვნელოვან პორტფელს მიიღებს.

არსებული გეგმით, კოალიცია დროებითი არ არის და მან იტალია 2023 წელს დაგეგმილ მორიგ საპარლამენტო არჩევნებამდე უნდა მართოს.

ამ გადაწყვეტილებით მოგვარდა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც წინა სამთავრობო კოალიციიდან მემარჯვენე პარტია „ლიგის“ გასვლამ გამოიწვია.

„ლიგას“ ლიდერ მატეო სალვინის ვიცეპრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა. ბოლო პერიოდში მისი პარტიის

რეიტინგი გაორმაგდა, რაც ევროპარლამენტის არჩევნებმაც დაადასტურა. მატეო სალვინი კოალიციიდან გავიდა ვადამდელი არჩევნების ჩატარებისა და, შესაბამისად, პრემიერის სავარძელში გადანაცვლების იმედით.

სხვა პარტიების აზრით, შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნების ჩატარება ქვეყნის ინტერესებში არ შედიოდა.

თურქეთი რუსული ავიაგამანადგურებლების ყიდვას აპირებს

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ერდოღანმა რუსული ავიაგამანადგურებლების ყიდვა არ გამორიცხა.

– ჩვენ ამ საკითხს ვსწავლობთ, – თქვა მან.

ერდოღანმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკელები თურქეთს თავიანთ ავიაგამანადგურებლებს აღარ მიაწვდიან. ასეთ სიტუაციაში თურქეთს სხვა გამოსავალი აღარ რჩება, გარდა იმისა, რომ რუსული თვითმფრინავები შეიძინოს.

31 აგვისტოს მოსკოვში საპროტესტო მსვლელობა გაიმართება

რუსეთის დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლუბა სობოლმა განაცხადა, რომ 31 აგვისტოს მოსკოვში საპროტესტო მსვლელობა გაიმართება.

მოთხოვნა უცვლელია: მოსკოვის დუმის არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდაჭერა.

– წინა აქციებისგან განსხვავებით, ეს ხელისუფლებასთან უკვე აღარ არის შეთანხმებული, – თქვა სობოლმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

მოშინაურებულმა ლომმა პატრონი დაგლიჯა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ლომის თავდასხმის შედეგად სანადირო შეკვეთილის მფლობელი დაიღუპა.

მტაცებელი 70 წლის ლეონ ვან ბილიონს თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ის ვოლიერის ღობეს ამაგრებდა. მამაკაცს მეზობლები მიეშველნენ, მაგრამ მისი გადარჩენა ვეღარ მოახერხეს. ის მიღებული ჭრილობებისგან დაიღუპა.

ვან ბილიონი კერძო სანადირო შეკვეთილს ქალაქ კულინანის მახლობლად ფლობდა. იქ ეწყობოდა ექსკურსიები ტურისტებისთვის, კითხულობდნენ ლექციებს ლომებზე და მათი კვების პროცესს აჩვენებდნენ.

შეკვეთილში სამი ლომი, რემბო, კატრინი და ნაკიტა, ბინადრობდა. ვან ბილიონის დაღუპვის შემდეგ სამივე დახოცეს.

გოგონა 25 მეტრიდან ჩამოვარდა და გადარჩა

მექსიკის შტატ ნუევო-ლეონში გოგონა მეექვსე სართულიდან იოგაში ვარჯიშის დროს ჩამოვარდა. ის ამ დროისთვის კრიტიკულ მდგომარეობაშია.

23 წლის ალექსა ტერაზასი აივანზე იოგას სახიფათო პოზას ასრულებდა, რა დროსაც ფეხი დაუცდა და 25 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. ადგილზე მისულმა პარამედიკოსებმა გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მან 11-საათიანი ოპერაცია გადაიტანა.

გოგონამ ამ შემთხვევის შედეგად კიდურების სერიოზული მოტეხილობები და თავის ტრავმა მიიღო. ტერაზასის ოჯახმა სოციალური ქსელების მომხმარებლებს სისხლის ჩაბარებისა და შვილის გამოჯანმრთელებისთვის ლოცვისკენ მოუწოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, „ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

რუსი მარია ხარენკოვა საქართველოს სახელით იასპარეზებს

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ცნობით, რუსი ტანმოვარჯიშე მარია ხარენკოვა მოქალაქეობას შეიცვლის და საქართველოს სახელით იასპარეზებს.

ხარენკოვამ სხვა ქვეყნის სახელით გამოსვლის უფლების გადაწყვეტილება ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ბოლო სხდომაზე ნიკარაგუის დედაქალაქ მანაგუაში მიიღო. ხარენკოვას უფლება მისცეს, სხვა ქვეყნის ღირსება დაეცვა. ეს კი 4 ოქტომბერს საქართველოს სახელით შეეძლება, როდესაც გერმანიის ქალაქ შტუტგარტში სპორტულ ტანვარჯიშში მორიგი მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. ტურნირი 13 ოქტომბერს დასრულდება.

სხვათა შორის, პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც რუსი სპორტსმენები სხვა ქვეყნის სახელით გამოდიან. ეს დიდი კონკურენციის ბრალია და, ვინც იქაურ ნაკრებში ვერ ხვდება, ამჯობინებენ, სხვა ქვეყნის სახელით მოხვდნენ დიდ ფორუმებზე.

საქართველოს ნაკრებში უკვე გამოდიან პოლინა ბორზიხი და კონსტანტინ კუზოვკოვი.

შედეგები

28 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

აიაქსი-პოელი	2:0
ბრიუგე-ლინცერი	2:1
სლავია-კლუჟი	1:0

საფინალგეთი. 1 ლიგა

ლილი-სტ.ეტიენი	3:0
ნიცა-მარსელი	1:2

საატუნიო ცხრილი:

1.რენი	3	3	0	0	5-1	9
2.ლიონი	3	2	0	1	9-1	6
3.პსჟ	3	2	0	1	8-2	6
4.ლილი	3	3	0	1	5-2	6
6.ნიცა	3	2	0	1	5-4	6
6.ანჟე	3	2	0	1	6-7	6
7.ბრესტი	3	1	2	0	3-2	5
8.სტ.ეტიენი	3	1	1	1	3-5	4
9.ტულუზა	3	1	1	1	2-5	4
10.რეიმსი	3	1	1	1	2-1	4
11.ბორდო	3	1	1	1	4-4	4
12.მეცი	3	1	1	1	4-4	4
13.ნანტი	3	1	1	1	3-3	4
14.მონპელიე	3	1	1	1	2-2	4
15.მარსელი	3	1	1	1	2-3	4
16.ამიენი	3	1	0	2	3-4	3
17.სტრასბური	3	0	2	1	1-3	2
18.ნიმი	3	0	1	2	3-7	1
19.მონაკო	3	0	1	2	2-8	1
20.დიჟონი	3	0	0	3	1-5	0

ჩოგბურთი

ამერიკის ღია პირველობა

ჯენტლმენები

კლანი-ნიშიკორი	2:6,6:4,3:6,5:7
ფედერერი-ჯუმხური	3:6,6:2,6:3,6:4

ქალები

ბოლქვაძე-პლიშკოვა	1:6,4:6
სვიტოლინა-ვ.უილიამსი	6:4,6:4
ჩუუ-კიზი	4:6,1:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ანსუ ფატი — ბარსას ახალი ვარსკვლავი ეზრდება

ესპანეთის ჩემპიონატის მე-2 ტურის მატჩში, რომელიც „კამპ ნოუზე“ შედგა, ბარსამ ბეტისს უმასპინძლა და 5:2 გაიმარჯვა.

ცხადია, ეს გასაკვირი ფაქტი არ არის, რადგან ბარსელონა თითქმის ყოველთვის იმარჯვებს. ლამაზი გოლებით დახუნძლულ შეხვედრაში მნიშვნელოვანი ის მოხდა, რომ 78-ე წუთზე მოედანზე კლუბის აკადემიის აღზრდილი ანსუმანე ფატი შევიდა.

ფატი 2002 წლის 31 ოქტომბერს გვინეა-ბისაუში დაიბადა და მოედანზე გამოჩენისას 16 წლისა და 298 დღის იყო. ამ მაჩვენებლით მან კლუბის ისტორიაში მე-2 შედეგი დააფიქსირა.

ფატიზე წინ ვისენს მარტინესი იმყოფება, რომელმაც ბარსას მაისურით 1941 წლის ოქტომბერში მადრიდის რეალის წინააღმდეგ ითამაშა და 16 წლისა და 280 დღის გახლდათ.

ფატიმ მისთვის ამ ისტორიული შეხვედრის შემდეგ პრესასთან პირველი კომენტარი გააკეთა:

– სიმართლე ის არის, რომ ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ახლა მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მადლობა ყველას, კლუბს, მწვრთნელსა და გულშემატკივრებს, რომლებმაც კარგად მიმიღეს. ვუყურებდი ჩემს მშობლებს, რომლებიც აქ მოსახვედრად გვერდში მედგნენ.

პირველ გუნდში დებიუტის შემდეგ კომენტარი ფეხბურთელის მამამაც გააკეთა, რომელმაც პრესას საინტერესო ისტორია უამბო:

– უკეთესი შემოთავაზება მქონდა მადრიდის რეალიდან, რომელიც გაცილებით მეტ ფულს გვთავაზობდა. ამის შემდეგ ჩემთან ალბერტ პუიგი მოვიდა და მითხრა, რომ ეს ბარსა იყო და მათ პროექტი ჰქონდათ. მათ მითხრეს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ჩემს შვილს სწორედ აქ ვნახავდი. ვიცოდით, რომ ანსუ მონდომებით ვარჯიშობდა და ბევრს შრომობდა, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ ასე მალე ის ამას მიაღწევდა და ამ „ცხოველებთან“ ერთად ითამაშებდა. ის პიკესთან ერთად ვარჯიშობს!

ამ ყველაფრის შესახებ არაფერი ვიცოდი, ჩემი ტელეფონი კი დუმდა. შემდეგ მან დედამისს დაურეკა – დედა, პირველ გუნდთან ერთად მივდივარ. ამის გაგონების შემდეგ მე დავხტოდი და არ მჯეროდა, რაც მოვისმინე.

ბეტისთან მოგებული მატჩის შემდეგ ლეო მესიმ სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა, რომელსაც ანსუ ფატისთან ერთად გადაღებული ფოტო დაურთო:

– დიდებული პერფორმანსი მთელი გუნდის შესრულებით. პირველი 3 ქულა ლა ლიგაში და ბედნიერი ვარ პირველ გუნდში ჩვენი აკადემიის აღზრდილების ხილვით. მათ ოცნება აისრულეს და „კამპ ნოუზე“ შეხვედრაში გოლის გატანაც შეძლეს.

ფატი ბარსელონის აკადემიის წევრი 2013 წელს გახდა, ამპლუით ფლანგის ფორვარდია. ორივე ფრთაზე თანაბრად კარგად მოქმედებს და ცენტრფორვარდადაც შეუძლია თამაში.

ფატიმ უეფას 19-წლამდელთა ჩემპიონთა ლიგაშიც მიიღო მონაწილეობა, სადაც 9 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი შეასრულა.

ამრიგად, ბარსას მორიგი ტალანტი ეზრდება, რომელმაც საფეხბურთო სამყაროს ყურადღება უკვე მიიპყრო. ამიერიდან ჯერი მასზეა, ფატის პირველ გუნდში თამაშის შანსი კიდევ არაერთხელ მიეცემა და უახლოეს წლებში მისი ნამდვილი შესაძლებლობებიც გამოჩნდება.

ბოლქვაძე პლიშკოვასთან დამარცხდა

ქართველმა ჩოგბურთელმა მარიამ ბოლქვაძემ აშშ-ის ღია პირველობაზე გამოსვლა მეორე წრეში დაასრულა. 21 წლის ჩოგბურთელმა 50 სარეიტინგო ქულა და 100.000 დოლარი გამოიმუშავა.

ბოლქვაძემ კარიერაში უდიდეს წარმატებას უკვე მიაღწია, როდესაც აშშ-ის ღია პირველობის ძირითად ბადეში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. 21 წლის ჩოგბურთელმა, რომელიც რეიტინგში 202-ეა, საკვალიფიკაციო ეტაპზე 3 მეტოქე დაამარცხა, შემდეგ ძირითად ბადეში გადაერთო, სადაც უკვე მასპინძელ ბერნარდა პერას (65) 3 სეტში აჯობა. ნიუ იორკის კორტზე ბოლქვაძის მომდევნო მეტოქე უკვე ჩეხი კაროლინა პლიშკოვა იყო – ამჟამად მსოფლიო რეიტინგის მე-3 ჩოგანი, ხოლო ერთ დროს – რეიტინგის სათავეში მყოფი.

27 წლის პლიშკოვა რომ საინტერესო ჩოგბურთელია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი თამაში ცენტრალურ, არტურ ეშის სახელობის კორტზე დანიშნეს. ამიტომაც იყო, ეს შეხვედრა რომ გაიმართა, რადგან კორტი გადახურულია, ხოლო სხვა ღია კორტებზე წვიმის გამო უამრავი შეხვედრა ჩაიშალა.

მარიამ ბოლქვაძე არტურ ეშის კორტზე – ეს უკვე კიდევ ერთი დიდი მიღწევაა 21 წლის ჩოგბურთელისთვის. მარიამს აქამდე მსგავსი სიდიდისა და სიდიადის კორტზე არ უთამაშია, ამიტომაც იყო, პირველ სეტში ზედმეტად რომ ნერვიულობდა და ჩეხმა ჩოგბურთელმაც პირველი სეტი დამაჯერებლად მოიგო. პლიშკოვამ ჩვენებურს მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო.

მე-2 სეტში კი ქართველმა ჩოგბურთელმა ბოლომდე იბრძოლა, თუმცა საბოლოოდ პლიშკოვამ კლასისა და გამოცდილების ხარჯზე მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ მაინც გადაწყვიტა – 6:4.

ძაღლებმა სუნით ქალებს კიბო დაუდგინეს

ბრიტანელმა ქალებმა იმის თაობაზე ისაუბრეს, თუ როგორ დაუდგინეს მათმა ძაღლებმა ყნოსვით, რომ კიბო ჰქონდათ.

ლონდონელმა ორი ბავშვის დედა ემა სმიტმა შვილებისთვის სტაფორდშირული ბულტერიერის ლეკვი აიყვანა. ძაღლს ჩარლი დაარქვეს. მალე ემამ შენიშნა, რომ მისი შინაური ცხოველი უცნაურად იქცეოდა. მისი თქმით, ჩარლი მის მარჯვენა მკერდს ახტებოდა, გამუდმებით ყნოსავდა სხეულის ამ ნაწილზე და ყეფდა.

პირველ დღეს ქალმა იფიქრა, რომ შესაძლოა, მის მაისურს საჭმლის სუნი ასდიოდა, მაგრამ ლეკვი იმავეს აგრძელებდა შემდგომი რამდენიმე თვის განმავლობაში, რომელი ტანსაცმელიც არ უნდა სცმოდა მის პატრონს. რაღაც მომენტში ქალმა იფიქრა, რომ ჩარლის ამით რაღაცის თქმა სურდა. მან მარჯვენა მკერდი ხელით მოისინჯა და სიმკვრივე შენიშნა. ემამ ექიმს მიმართა. მას სარძევე ჯირკვლის კიბო დაუდგინეს.

წარმატებული მკურნალობის შემდეგ ქალის ექიმმა განაცხადა, რომ დაგვიანების შემთხვევაში ყველაფერი, შესაძლოა, ცუდად დასრულებულიყო. ახლა მთელი ოჯახი ფიქრობს, რომ ემა ჩარლიმ გადაარჩინა.

კლერ გესტი ასევე ამტკიცებს, რომ მისი ლაბრადორი დაეხმარა მკერდის კიბოს ადრეულ სტადიაზე აღმოჩენაში. მისი ძაღლი, სახელად დეიზი, გამუდმებით მკერდზე ეხახუნებოდა, რამაც ის აიძულა, საავადმყოფოსთვის მიემართა. ექიმებმა მას აცნობეს, რომ სარძევე ჯირკვლის კიბო ჰქონდა.

ქიმიოთერაპიისა და გამოჯანმრთელების შემდეგ კლერმა გადაწყვიტა, რომ დეიზი სხვების დახმარებასაც შეძლებდა. მან ჩამოაყალიბა საქველმოქმედო პროგრამა „მედიკოსი ძაღლები“, რომელშიც უკვე 12 ძაღლი მუშაობს, რომლებიც სიმსივნის დადგენას ახერხებენ. ყველა მათგანს ჰყავს პატრონი, მაგრამ ისინი მათ სხვა ადამიანების დასახმარებლად სრულიად უსასყიდლოდ იყენებენ.

აღსანიშნავია, რომ ათი წლის დეიზი ბრიტანეთის ცხოველთა დაცვის საქველმოქმედო ფონდის მედლით „ცისფერი ჯვრით“ დაჯილდოვდა. მან უკვე 550-ზე მეტ ადამიანს აღმოუჩინა კიბო.

მძარცველის მანქანა ძარცვის დროს გაიტაცეს

ამერიკის ვაშინგტონის შტატის ქალაქ კენევიკში მძარცველს მანქანა იმ დროს გასტაცეს, როდესაც დანაშაულს ჩადიოდა.

პოლიციის განყოფილებაში უილიამ კელიმ დარეკა და წითელი პიკაპის დაკარგვის თაობაზე განაცხადა, რომელიც მას ქუჩაში ჰყავდა დაყენებული. როგორც გაირკვა, მამაკაცს ავტომობილის გასაღები უკანა სავარძელზე დარჩა. ეს გამვლელმა შენიშნა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

სათვალთვალო კამერის ჩანაწერის შესწავლის დროს პოლიციელებმა აღმოაჩინეს, რომ თავად კელი იქვე ახლოს მომხდარი ძარცვის მონაწილე იყო. სწორედ ამის გამო იყო, რომ მან მანქანა უმეთვალყურეოდ დატოვა.

კელი დააპატიმრეს და სხვის შენობაში უკანონოდ შეღწევის ბრალდება წაუყენეს. ჯერჯერობით არც პიკაპი და არც მისი გამტაცებელი ნაპოვნი არ არის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სკანდინავიური თქმულება, ლეგენდა; 2. სახოტბო ლექსი; 3. გარკვეული წესით შედგენილი სამუზეუმო ექსპონატების სია, ჩამონათვალი; 4. ყველაზე დიდი მდინარე იტალიაში; 5. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 6. ქართული სპორტული რადიო; 7. მარგალიტის ყელსაბამი; 10. ტელეფონის გამომგონებელი; 11. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 12. ძალიან იშვიათი ნივთი; 13. წაგრძელებული მთა; 16. ფულის ერთეული უკრაინაში; 18. კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 19. საოჯახო ნივთების შესანახი სახურავიანი ხის ყუთი; 21. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 24. კოვბოების შეჯიბრება.

თარაზულად: 1. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 3. მაღალზურგიანი დივანი; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. უდაბნო მონღოლეთსა და ჩინეთში; 14. მცენარეთა სამყარო; 15. ქალაქი კახეთში; 17. ალპურ ზონაში ბინადარი ქათმისებრთა ოჯახის ფრინველი; 20. შეიარაღებული მცველი, დარაჯი; 22. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 23. პატარა სასეირნო გემი; 25. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 26. დენის სიმძლავრის საზომი ერთეული; 27. ერთ-ერთი კონტინენტი; 28. საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწე სახელმწიფო მოხელე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შაირი; 2. ყველი; 3. ანორაკი; 4. კობე; 5. კედი; 6. სტაპელი; 9. საკანდელიძე; 10. აშპაშხანა; 11. შუშაბანდი; 14. პუდრი; 16. აკინი; 18. ფაიფური; 20. დურბანი; 23. აუდი; 24. სარკე; 25. ფრეზა; 26. ბოტი.

თარაზულად: 7. ონტოლოგია; 8. რეზერვატი; 12. მარში; 13. მურეი; 15. აპაჩი; 17. დივიდენდი; 19. მალტა; 21. ლიანა; 22. ოდერი; 27. ტრუბადური; 28. პენტაგონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შუკა; 2. ემუ; 3. კაპიტალი; 4. მი; 5. ლაშარელა; 6. თაჯა; 7. ბენფიკა; 10. ხალი; 11. ალპინიადა; 12. ბიჭვინთა; 13. კები; 16. კრისტი; 18. ენოლოგი; 19. იკორთა; 21. ლუცკი; 24. ტაქსა.

თარაზულად: 1. შარდონე; 3. კორომი; 8. ცაბაძე; 9. კოხი; 14. ფლეში; 15. ტეხური; 17. ჭონა; 20. ლენგლი; 22. ლანჩა; 23. კოიოტი; 25. ფხა; 26. საბო; 27. ალია; 28. ქანდაკება.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9379

ევრო — 3.2531

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5845

100 რუსული რუბლი — 4.4307

ამინდის პროგნოზი 30 აგვისტო

„თომას ზღაპრები“ ჩინურად გამოიცა

გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ ჩინურად გამოიცა. სწორედ ამ გამოცემით წარდგება საქართველო პეკინში ჩინეთის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე.

გიორგი კეკელიძე:

– პეკინში, ჩინეთის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, საქართველოს ჩინურად გამოცემული ჩემი „თომას ზღაპრები“ წარმოადგენს.

წიგნი ჩინურად ანა გოგუაძემ თარგმნა.

ოფიციალური წარდგენა პეკინში მალე გაიმართება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ერთგული ძაღლი პატრონის გარდაცვალებიდან თხუთმეტ წუთში მოკვდა



შოტლანდიის ქალაქ ალოაში ძაღლი თავისი პატრონის გარდაცვალებიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ მოკვდა.

25 წლის სტიუარტ ჰატჩინსონი რვა წლის განმავლობაში თავის ტვინის კიბოს ებრძოდა. ის ქიმიოთერაპიის კურსს გადიოდა და რამდენიმე ოპერაციაც გადაიტანა.

მიმდინარე წლის მაისში თავის მეუღლე დანიელთან ერთად შვებულებაში ყოფნის დროს სტიუარტმა თავი კიდევ უფრო ცუდად იგრძნო. მამაკაცს ხელი ასტკივდა. რამდენიმე სკანირების შემდეგ ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დაავადება უკვე მისი ძვლებზე გავრცელდა. მას შემდეგ, რაც დიაგნოზი ცნობილი გახდა, სტიუარტმა გადაწყვიტა, სიცოცხლის ბოლო კვირები თავის ოჯახთან ერთად იმ სახლში გაეტარებინა, სადაც დაიბადა და გაიზარდა.

მამაკაცის სიცოცხლის ბოლო დღეს მის ცოლს სათვალე გაუტყდა. მამამისმა, იცოდა რა, რომ სტიუარტი, შესაძლოა, ნებისმიერ მომენტში გარდაცვლილიყო, გადაწყვიტა, დახმარებოდა და სათადარიგო სათვალის წამოსაღებად მათ სახლში შეიარა. იქ შენიშნა, რომ წყვილის ერთ-ერთი ძაღლი, სახელად ნერო, ცუდად იყო და ვეტერინარულ საავადმყოფოში მიიყვანა. იქ ცხოველს ხერხემლის დაზიანება დაუდგინეს და დახმარება ვეღარ აღმოუჩინეს. ძაღლი დაიღუპა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს მისი პატრონის გარდაცვალებიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ მოხდა.

– სტიუარტს სამი ძაღლი ჰყავდა, მაგრამ ნერო მისთვის ყველაზე საყვარელი იყო და ისიც ერთი ნაბიჯითაც კი არ შორდებოდა, – აღნიშნა იონა კონაგანმა, სტიუარტის დედამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 აგვისტოსთვის

ვერძი – შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს ფორტუნა გიღიმით. ასევე წარმატებული დღეა საბიუჯეტო სფეროს მუშაკებისთვის. ინტუიციას ნუ მიენდობით, რეალობის აღქმა შეინარჩუნეთ. **კურო** – ოჯახში ჰარმონია და სიყვარული თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას გონივრულად მიიღებთ. **ტყუპები** – მოზღვავებული ენერგია საშუალებას მოგცემთ, გრძელვადიანი გეგმების განხორციელებას თამამად შეუდგეთ. ოღონდ ნუ გარისკავთ, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. **კირჩხიბი** – კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ერიდეთ საქმის გარჩევებს ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან. **ლომი** – მშვენიერი პერიოდია უკვე დამთავრებული საქმეების გასაანალიზებლად, ახალი გეგმების შესამუშავებლად. თქვენი მომხიბვლელობის წყალობით ახალ მოკავშირეებს იოლად შეიძენთ. **ქალწული** – ოპტიმიზმი და სიცოცხლის სიყვარული წარმატებას მოგიტანთ პროფესიულ საქმიანობაში. ემოციებს არ აჰყვეთ. მშვიდად იმუშავეთ. **სასწორი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მიზანი დაისახეთ და მის განხორციელებას შეუდექით, ოღონდ თავს ნუ დაკარგავთ. გრძნობები აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იმედითა და რწმენით სავსე ხართ. დღევანდელი დღის მოვლენები თქვენს მომავალზეც იმოქმედებს. **მშვილდოსანი** – ეს დღე განსაკუთრებით იღბლიანია ქალებისთვის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სიმპათიით არიან განწყობილი. ყველაფერი საკმაოდ იოლად გამოგდით. **თხის რქა** – ცოტა დეპრესიული განწყობა გაქვთ. შესაძლოა საქმიანობის სფეროს შეცვლა მოგიხდეთ. იმპულსურობა და ემოციურობა ცუდ სამსახურს გაგიწევთ. **მერწყული** – კარგი დღეა ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისათვის. ეცადეთ, მხოლოდ ცივი გონებით იმოქმედოთ. თუ კარგად იმუშავებთ, შრომა დაგიფასდებათ. **თევზები** – მთლიანობაში კეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ ეგოისტ და საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ცოლი სახლში დაბრუნებულ მეუღლეს ეუბნება:

– ქალის სუნამოს სუნი აგდის.

– აბა, ის იქნებოდა უკეთესი, მამაკაცის სუნამოს სუნი რომ ამდიოდეს?

•••

მამაკაცი ნავმისადგომზე შეიჭრა, ნაპირიდან ხუთ მეტრში მდგომ ბორანზე ჩანთა მოისროლა, შემდეგ კი გაქანდა და თავადაც შეახტა, ბაგირს ჩაეჭიდა და გემბანზე ამძვრალმა შვებით ამოისუნთქა:

– უუჰ! მოვასწარი!

– რა თქმა უნდა, ეს კარგია, – ეუბნება კაპიტანი, – მაგრამ შეგეძლოთ, დაგეცადათ, სანამ ნაპირს მოვადგებოდით!

•••

მამაკაცს ეკითხებიან:

– რა საერთოა ვარდსა და ნარკომანს შორის?

– ორივე იჩხვლიტება.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს გახარებული ეუბნება:

– ბიჭი შემეძინა, ბიჭი! ექვსი გოგონას შემდეგ ბიჭი მყავს!

– და ვის ჰგავს, შენ თუ შენს მეუღლეს?

– არ ვიცი, სახეზე ჯერ არ შემიხედავს.

•••

კომისიის წევრი მშენებლობის უფროსს ეკითხება:

– რამდენი ადამიანი მუშაობს ამ მშენებლობაზე?

– ბრიგადირით – ათი.

– და უბრიგადიროდ?

– არც ერთი.

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– დღეს დილით ჩემს ქმარს ვეუბნები: „ეს რამხელა მუცელი გაიზარდე!!!“...

– მერე, რა გიპასუხა?

– „კარგ პატრონს ცხენი ყოველთვის გადაფარებულში უნდა ედგას!!!“

•••

ქმარმა ცოლს საყვარელთან მიუსწრო, პისტოლეტი ამოიღო და საყვარელს ეუბნება:

– გარეთ გავიდეთ!

გარეთ გასულს ეუბნება:

– მოდი, ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტოთ, მას რომელი ვჭირდებით. ასე მოვიქცეთ, ორჯერ გავისვრი და ორივე ძირს დავეცემით. ჩემი ცოლი პირველი რომელსაც მივარდება, ის დარჩეს მასთან.

საყვარელი დაეთანხმა. ორი გასროლის ხმის გაგონებაზე ქალმა ფანჯარაში გადაიხედა, შემდეგ კი დაიძახა:

– გივი, გამოდი, ამ სულელებმა ერთმანეთი დახოცეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577 46 06 59 ან 595 18 37 09

ნეიმარი ბარსელონაში ბრუნდება

ბარსელონა და პსჟ შეთანხმდნენ ნეიმარის ტრანსფერზე და ნეიმარი ოფიციალურად ბარსელონის ფეხბურთელი გახდება.

ამ ინფორმაციას სკაი სპორტის ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალისტი ავრცელებს, რომელიც იშვიათად ცდება ხოლმე.

ამრიგად, ნეიმარი ზუსტად ორი წლის შემდეგ ისევ ბარსელონის ფეხბურთელი გახდება და ეს ზაფხულის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი იქნება.

ჯერჯერობით სხვა დეტალები უცნობია.

ინტერი მაურო იკარდის ვერ იშორებს

მილანის ინტერს არ სურს, რომ მაურო იკარდი ამ გუნდში დარჩეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ კლუბმა ალექსის სანჩესი და რომელუ ლუკაკუ იყიდა, მაგრამ თვითონ იკარდი წასვლას არ აპირებს.

ინტერი იკარდის დაემუქრა, რომ ის ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც არ იქნება და მთელ სეზონს სათადარიგოთა სკამზე გაატარებს, მაგრამ არგენტინელი ფორვარდი ინტერიდან წასვლას მაინც არ აპირებს.

იკარდის ნაპოლი და იუვენტუსი ეპატიჟებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, იკარდის აქვს იმედი, რომ ინტერი მის მიმართ დამოკიდებულებას შეცვლის.

ლოვრენმა, შესაძლოა, კარიერა რომაში გააგრძელოს

ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა დეიან ლოვრენმა, შესაძლოა, კარიერა იტალიაში, კერძოდ კი რომაში გააგრძელოს.

ლოვრენმა ლივერპულის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და მისი წასვლის სურვილი ლოგიკურია.

ამ დღეებში ლოვრენი რომში ჩაფრინდება, სადაც რომასთან კონტრაქტს ხელს მოაწერს. რომას ეს ტრანსფერი 20 მილიონი ევრო დაუჯდება, ხოლო ლოვრენი სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ლევანდოვსკიმ ბაიერნთან კონტრაქტი გააახანგრძლივა

მიუნხენის ბაიერნის პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ გუნდთან კონტრაქტი გააახანგრძლივა და ის ბაიერნში 2023 წლის ჩათვლით ითამაშებს.

ლევანდოვსკიმ აღიარა, რომ ერთი პერიოდი გუნდიდან წასვლაზე ფიქრობდა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა:

– ძალიან მიხარია, რომ ბაიერნში დავრჩი და სხვა გუნდში არ გადავედი, რადგან აქ ყველას ვუყვარვარ და ყველა მაფასებს. წელს ძალიან მნიშვნელოვანი სეზონი იქნება და შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ფრედერიკ ბეგბედერი ტურისტებს საქართველოში ჩამოსვლისკენ მოუწოდებს

ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ფრედერიკ ბეგბედერმა ტურისტებს საქართველოში ჩამოსვლისკენ მოუწოდა და ჩვენი ქვეყნის მხარდასაჭერი სპეციალური ვიდეომიმართვა გაავრცელა.

ვიდეო ინტერნეტში უკვე საკმაოდ პოპულარულია და მას ათასობით ნახვა და გაზიარება აქვს.

ბეგბედერი საქართველოში უკვე ნამყოფია და ჩვენი ქვეყნითაც მოიხიბლა. მწერალი ახლა დანარჩენ უცხოელებს მოუწოდებს, აუცილებლად დაგეგმონ თავიანთი ვიზიტი საქართველოში.

„გაატარე შენი შემოდგომა საქართველოში“ – ასეთია ახალი კამპანიის სახელწოდება, რომელშიც ფრანგი მწერალიც ჩაერთო. ეს კამპანიის „გაატარე შენი ზაფხული საქართველოში“ გაგრძელებაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ↄ



შვეულად: 1. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 2. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 3. სამეფო რეზიდენცია საფრანგეთში; 4. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 5. თაფლგამოცლილი ფიჭა; 6. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ძალის გამოყენებით შემოერთება; 9. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 10. სამედიატორო სასამართლო; 11. სიბერით გამოწვეული დაავადების შემსწავლელი და მკურნალობის მეთოდების დამდგენი მედიცინის დარგი; 14. მამათა მონასტერი; 16. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კომპანია; 20. „ბარსელონის“ დამფუძნებელი; 23. ჯიხვების ჯოგი; 24. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 25. ქართველი რეპერი; 26. აეროპორტი თელ-ავივში.

თარაზულად: 7. გადამფრენი ფრინველების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 8. ნავთობის, ბუნებრივი აირის უდიდესი საბადო ირანში; 12. ცხოველის ტანზე დასმული დამღა; 13. ბრიტანეთის ნაწილი; 15. საინფორმაციო საშუალება; 17. ესპანელი მხატვარი; 19. ხურდა ფული აშშ-ში; 21. აეროპორტი პარიზში; 22. ფრანგი მწერალი; 27. ძველი იშვიათი ნივთების შემფასებელი, მოვაჭრე; 28. ძველებური ქართული ქალაქური ცეკვა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა